პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 მაისი ხუთშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

ეაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 118 (15939)

ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔ

რუსთავი. (საკ. კორ.). საყოველთაოდ გაითქვა სახელი ფოლადის დნობის ოსტატმა ვლადიმერ მეტრეველმა. კარგად აითვისა რა ჩქაროსნული დნობის მეთოდი, ბრიგადამ, რომელსაც ვ. მეტრეველი ხელმძღვანელობს, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე 2.176 ტონა ფოლადი გამოადნო გეგმის გადამეტებით.

ვ. მეტრეველი ერთ-ერთი ის ნოვატორია, რომელიც მთელი ენერგიით იბრძვის დიდი ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის — მეტი და მაღალხარისხოვანი ფოლადის გამოდნობისათვის.

დაუვიწყარია 1971 წელი ვლადიმერ მეტრეველისათვის. იგი, როგორც დელეგატი, ქართველი მეტალურგების სახელით ესწრებოდა სკკპ XXIV ყრილობას. ყრილობამ კი მეტალურგიული მრეწველობის მუშაკებს დიდი და საპატიო ამოცანები დაუსახა. ვლადიმერ მეტრეველის მიერ გამოდნობილი ყოველი ტონა ფოლადი პირდაპირი პასუხია პარტიის მიერ დასახული დიდი მიზნების შესასრულებლად.

დაუფასდა შრომა ვ. მეტრეველს. მისმა კოლეგებმა და თანამოსაქმეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს. ამ დღეებში კი იგი რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რუსთავის № 182 საარჩევნო ოლქში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡ.

რ. ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო.

ᲛᲬᲕᲜᲔᲚ-ᲛᲗᲔᲡᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

ᲪᲝᲢᲐ დრო დარჩა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დაწყებამდე.

ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის პარტიულ ორგანიზაციებს, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებს მოქმედების კონკრეტული პროგრამა დაუსახა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „1974 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის გეგმა-გრაფიკი, შეიქმნა სპეციალური ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბი.

მოსავლის აღების წინასწარ დასახული გეგმები განიხილეს საზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელთა კრებებზე, პარტიულ ორგანიზაციებში. გადამწყვეტ უბნებზე გაგზავნილი არიან კომუნისტები, შრომის დამკვრელები. რაიონში პურეულის მკაზე იმუშავებს 86 კომბაინი, რომლებიც სრულ წესრიგშია მოყვანილი. მზად არის ავტომობილების პარკი, მარცვლის მისაღები მექანიზებული კალოები. კომბაინების საქეს მიუსხდებიან კვალიფიციური მექანიზატორები. შექმნილია ტექნიკის გამწყობთა სპეციალური სამსახური.

წლევანდელი მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისა და სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმის სასახელოდ შესრულებისათვის მონდომებით ემზადებიან წითელწყაროს, სოღანაულის, საგარეჯოს, გურჯაანის, ახმეტის, ყვარლისა და სხვა რაიონები.

რესპუბლიკაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დროზე უზრუნველყოფილ იქნას სოფლისათვის ახალი ტექნიკის მიწოდება, მთელი მოსავლის ახალი კონვეიერის შეუფერხებლად მუშაობა. უკვე მიღებულია 92 ახალი კომბაინი, ხულ მალე კიდევ 60 კომბაინს მოელიან. მოსავლის აღების დღეებში რესპუბლიკის ყანებში 1400 კომბაინი გავა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საავტომობილო ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობას, მის ორგანიზაციას. ავტომანქანების უნარიან გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული მოსავლის აღების ტემპი, მარცვლეულის დანაკარგების თავიდან აცილების უზრუნველყოფა.

მთავარია ალოობის წინ თვითეული აგრეგატი წინასწარ იყოს შემოწმებული, შეკეთებული და მწყობრში ჩამდგარი.

როგორ მიმდინარეობს ტექნიკის მომზადება პურეულის მკისათვის?

წელს რემონტი უნდა გაუკეთდეს 735 კომბაინს. ეს სამუშაო შესრულებულია 75 პროცენტით, შეკეთებულია 3.301 სატვირთო ავტომობილი, რემონტი გაუკეთდა 800-ზე მეტ მარცვლეულის საწმენდ მანქანას.

მაგრამ, სამწუხაროდ მთელ რიგ რაიონებში ალოობისადმი ტექნიკის მომზადებისა და სხვა ღონისძიებებისა და ერთობ ჭიანურდება. წალეკის რაიონში კომბაინების რემონტის გეგმა სანახევროდ არ არის შესრულებული, თელავის რაიონის მექანიზატორებს ჯერაც არ მოუყვანიათ უველა კომბაინი სრულ წესრიგში. კომბაინების რემონტზე ჯერ კიდევ ნელი ტემპით მუშაობენ ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენის, ახპინძის, ხაშურის, ქარელის, კახეთის, დუშეთის, დმანისის, თიანეთის რაიონებში.

მკის დროს, ხშირად იცის ავდარი. ასეთ დღეებში საჭიროა გვქონდეს კარგი საშრობი მეურნეობა, რათა მარცვალი დანაკარგებისაგან დავიცვათ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მარცვლის შეუფერხებელი შრომისა და გაწმენდისათვის საჭიროა, რომ ონტი გაუკეთდეს 51 მარცვალსაწმენდ მანქანას. ფაქტიურად ეს დავალება შეუსრულებელია.

ალოობის დროს ხულ პატარა შეფერხებაც კი მოსავლის დიდ დანაკარგებს იწვევს. პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ყოველივე ეს წინასწარ უნდა მოიფიქრონ და გაითვალისწინონ. საჭიროა ამთავითვე ვიზრუნოთ თვითეული ასალები აგრეგატის მომსახურე კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, მექანიზატორების და პურის მაზე სხვა მომუშავეების შეფუქმნით ყველა პირობა მაღალნაყოფიერი მუშაობისა და კარგი დასვენებისათვის. წინასწარ უნდა მოვიყვანოთ წესრიგში ელევატორები, კალოები, საწყობები, ლაბორატორიები, მარცვლის საწმენდი და საწონი მეურნეობა, შევაკეთოთ გზები და მიხსნელი ლანდაგები. პარტიული კომიტეტები, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან აქედანვე იზრუნონ მშრომელთა კულტ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურებისათვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვებისათვის, ერთი სიტყვით, გაითვალისწინონ ყველაფერი, რაც ეხაჭიროებათ მოსავლის ახალებად გასულ მშრომელებს.

ალმა-ათაში, უამრავ ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხანაგმა ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲩᲛ თქვა, ახლა განსაკუთრებით საჭიროა „პასუხისმგებლობის ამაღლება, ინიციატივის, საქმიანი მიდგომის, სოციალისტური გერგილიანობის განვითარება, შეგნებული დისციპლინის გამომუშავება, ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობის ჩანერგვა — მუშაობის პარტიული სტილის ამ ნიშნების გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება“.

ამ დღეებში გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სწორედ პარტიული და სახელმწიფო აპარატების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისადმი.

სწორედ მუშაობის ასეთი სტილის სრულყოფით ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, სამრეწველო საწარმოებმა და სტრანსპორტო ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა უზრუნველყონ მოსავლის დროულად, უდანაკარგოდ აღება, საჭირო რაოდენობით დაამზადონ საკვები, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოსთვის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲐᲓ მივესალმები მშვიდობისათვის, საერთაშორისო უშიშროებისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თანამშრომლობისათვის ყველა მებრძოლს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის 25 წლისთავთან დაკავშირებით. თქვენი კეთილშობილური და მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად 25 წლის მანძილზე ეს მოძრაობა გახდა თანამედროვეობის ყველაზე მასობრივი მოძრაობა, რომელმაც თავის რიგებში შეაკავშირა სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანები. მან ხელი შეუწყო ყველა იმათი მეცადინეობის, გაერთიანებას, ვისაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

მშვიდობის მომხრეთა პირველი მსოფლიო კონგრესი გაიმართა ისეთ პირობებში, როცა იმპერიალისტურმა წრეებმა მსოფლიოს თავს მოახვიეს „ცივი ომი“. ყოველნაირად აძლიერებდნენ შუღლის ატმოსფეროს. ეს კონგრესი, შეიძლება ითქვას, დროით იყო ნაკარნახევი. და კონკრეტსზე მშვიდობისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთგაგებისათვის მოწოდება იყო ხალხთა გონებისა და სინდისის ხმა, მათი იმ მგზნებარე სურვილის გამოხატულება, რომ მოესპოთ ომის საფრთხე. ამ ისტორიული კონგრესის მონაწილეთა შთამაგონებელი იდეები დღეს რეალურად ისახამს ხორცს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების აქტიურად განვითარებადს პროცესში. ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ განამტკიცონ ეს პროცესი, მიანჭონ მას შეუქცევადი ხასიათი.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის უდიდესი დამსახურება მსოფლიო თერმოატომური ომის თავიდან აცილებაში, იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედების აღკვეთაში — ნათლად მოწმობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში გაიზარდა ხალხის ხასების როლი. გარდა ამისა ეს დამსახურება მოწმობს, რომ დიდი ჯერ კიდევ ამოუწურავი შესაძლებლობანია იმისათვის, რომ დავრწმუნოთ მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო ფენები სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისათვის, მტკიცე და სტაბილური მშვიდობის შენობის აგებისათვის საბრძოლველად.

სულითა და გულით გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ამ კეთილშობილურ გზაზე.

დიე ფართოვდებოდეს და მტკიცდებოდეს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების თანამშრომლობა!

Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲩᲘ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲜᲘ�გᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

22 მაისს კრემლში გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშლის ა. ა. გრეჩკის და ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოსა და ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ იაკუბუ გოვონის მოლაპარაკება.

(საკდესი).

ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲐᲠᲩᲘᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

1974 წლის 21 მაისს მოსკოვში, კავშირების სახლში, გაიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელშიც შეაჯამეს საარჩევნო კომისიათა მიერ გაწეული მუშაობის შედეგები, განიხილეს არჩევნებისათვის მზადების მორიგი ეტაპის ამოცანები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა სსრ კავშირის ყველა ამომრჩეველისადმი, მოქალაქისადმი. საბჭოთა ხალხმა დიდი აღფრთოვანებით აღიქვა პარტიის მოწოდება. ხალხრავალ მიტინგებსა და კრებებზე ამომრჩეველები აცხადებენ, რომ მზად არიან ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. მშრომელები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ კომუნისტური პარტიის სწორმა, მეცნიერულად დასაბუთებულმა პოლიტიკამ, რომელიც შეიმუშავეს სკკპ XXIV ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა, უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება, ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესება და ჩვენი საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური ერთიანობის შემდგომი განმტკიცება. საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ყოველივე ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივი და მიზანდასახული საქმიანობის შედეგია.

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შედეგებზე მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ პ. ნ. ფედოსეევმა. მან განაცხადა, რომ კომისიამ მიიღო საოლქო საარჩევნო კომისიათა ოქმები ყველა 1517 ოლქში დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ: კავშირის საბჭოს არჩევნებზე 767 და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებზე 750 ოლქში. რეგისტრაცია მოეწყო დადგენილ ვადებში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულთა და რეგისტრაციაში გატარებული არიან საბჭოთა სამშობლოს საუკეთესო შვილები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა შორის არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები, მუშები და კოლმეურნეები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელები და სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები, მეცნიერები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სახსოფლო მოსამსახურეები. დეპუტატობის კანდიდატთა შემადგენლობაში 50,7 პროცენტს წარმოადგენენ მუშები და კოლმეურნეები, დაახლოებით მეტი — ქალები, 18 პროცენტზე მეტს — 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდობა, თითქმის 28 პროცენტს — უპარტიოები.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოისმინა კავშირის საბჭოს არჩევნების დროგრიბის № 509 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვ. ფ. ნადიმიანოვის (ლეონის ოლქი), ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 26 ბაქოელი კომისრის სახელობის № 194 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ტ. გ. შაბანოვის (აზერბაიჯანის სსრ), კავშირის საბჭოს არჩევნების მარის № 761 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ნ. ბაირამსახატოვის (თურქმენეთის სსრ) ინფორმაციები არჩევნებისათვის მზადების შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, კომისიის წევრები ზ. ი. ᲒᲣᲡᲘᲜᲝᲕᲐ, ი. კ. ᲚᲣᲙᲘᲐᲜᲝᲕᲐ, ბ. ა. ᲩᲐᲘᲜᲝᲕᲐ, ა. ვ. ᲨᲐᲒᲘᲜᲘᲐᲜᲘ. მათ აღნიშნეს, რომ არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს ორგანიზებულად. საოლქო კომისიები დროულად ახორციელებენ არჩევნების მზადებასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ღონისძიებას, სახავენ დამატებით ღონისძიებებს, რათა დაეხმარონ და გააუმჯობესონ საუნო კომისიათა მუშაობა. აღინიშნა, რომ ამომრჩეველებთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრებისადმი მიძღვნილი მშრომელთა კრებები, რომელებიც მილიონობით საბჭოთა ადამიანი მონაწილეობს, კვლავ ადასტურებენ ჩვენი ხალხის მაღალ პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას. ეს შეხვედრები პარტიის სამდისადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი ხალხის ერთგულების დემონსტრაციაა. ამ შეხვედრებზე მშრომელები გვიჩვენებენ, რომ დიდად არიან დაინტერესებული სახელმწიფო საქმეებით. საბჭოების საქმიანობის შემდგომი გაუჯობესებით.

საარჩევნო უბნებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნისათვის მუშაობის დამთავრებისა და ამომრჩეველთა სიების შედგენის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილია 170 ათასზე მეტი საარჩევნო უბანი და ამდენივე საუბნო კომისია. ამ კომისიათა შემადგენლობაში მილიონ ოთხას ათასზე მეტი კაცია. ყველანაირ შედგენილია და საყოველთაო ჯანრთელობისათვის წარმოდგენილია ამომრჩეველთა სიები.

სამეზავრო მატარებლებში საარჩევნო უბნების შექმნისა და კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შესაბამისი ოლქებისადმი მათი მიწერის შესახებ, აგრეთვე დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში და გემებზე საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ სხდომის მონაწილეებს მოახსენეს: სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრმა ტ. ბ. ᲒᲣᲓᲘᲜᲝᲕᲘ, სსრ კავშირის გზათა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ᲒᲣᲜᲓᲝᲑᲘᲜᲘᲜ, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. მ. ᲙᲐᲛᲔᲒᲪᲔᲕᲐ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრის მოადგილემ ნ. Ა. ᲑᲘᲫᲘᲜᲐ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა საოლქო კომისიებს გაუგზავნოს წერილი არჩევნებისათვის მზადების დამთავრებასა და მის ჩატარებასთან დაკავშირებით. განიხილა მთელი რიგი სხვა საკითხები.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაში მონაწილეობდნენ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რუსეთის სფსრ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. ვ. ᲕᲝᲚᲙᲝᲕᲘᲩᲘ, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვ. ი. ᲒᲚᲔᲜᲙᲘᲜᲐ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბამდცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. ᲜᲔᲑᲘᲔᲜᲘᲜᲐ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ი. ᲙᲠᲙᲜᲘᲜᲘ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ხ. პ. ᲜᲘᲫᲮᲝᲕᲐ, რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის მინისტრი ს. ა. ᲙᲣᲠᲩᲘᲜᲝᲕᲘ. საბჭოთა საზოგადოებრიობის, პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლები.

(საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲐᲠᲩᲘᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

მრთ თვეზე ნაკლები დრო რჩება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს — სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებამდე, ორგანოსი, რომელიც გამოხატავს მთელი საბჭოთა საზოგადოების ნებასა და ინტერესებს.

არჩევნებისათვის მზადებაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საოლქო და საუნო საარჩევნო კომისიებმა, რომელთა მოვალეობაა განუხრელად გაატარონ საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნები, ორგანიზებულად აწარმოონ მუშაობა თავიანთი ოლქებისა და უბნების ტერიტორიაზე.

სწორედ ამიტომ 22 მაისს შრომის სასახლეში გამართულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ საარჩევნო კომისიის სხდომის ძირითადი ყურადღება დაეთმო საოლქო და საუნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა ანგარიშებს.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების ბაიონის № 170, ქუთაისის № 178, ჯორის № 173 და ახალქალაქის № 168 საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების ამხანაგების ბ. გ. მახარაძის, ი. გ. ხაზარაძის, დ. ი. მინდიაშვილის, ა. ო. მოვსესიანის ინფორმაციებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ დასახელებული ოლქების ყველა საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ამომრჩეველთა სიები. საარჩევნო კომისიები მუშაობენ გეგმების თანახმად, თვალყურს ადევნებენ იმას, რომ ყველა საარჩევნო უბანში იყოს მორიგე, რომ პოლიტინფორმატორებმა რაც შეიძლება ხშირად მოაწყონ საუბრები მოსახლეობასთან საცხოვრებელ ადგილას, გააცნონ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მმართველ, საბჭოებისა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებზე დადგენილ ეტაპებზე, ითქმის 28 პროცენტს — უპარტიოები.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოისმინა კავშირის საბჭოს არჩევნების დროგრიბის № 509 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვ. ფ. ნადიმიანოვის (ლეონის ოლქი), ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 26 ბაქოელი კომისრის სახელობის № 194 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ტ. გ. შაბანოვის (აზერბაიჯანის სსრ), კავშირის საბჭოს არჩევნების მარის № 761 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნ. ბაირამსახატოვის (თურქმენეთის სსრ) ინფორმაციები არჩევნებისათვის მზადების შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, კომისიის წევრები ზ. ი. ᲒᲣᲡᲘᲜᲝᲕᲐ, ი. კ. ᲚᲣᲙᲘᲐᲜᲝᲕᲐ, ბ. ა. ᲩᲐᲘᲜᲝᲕᲐ, ა. ვ. ᲨᲐᲒᲘᲜᲘᲐᲜᲘ. მათ აღნიშნეს, რომ არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს ორგანიზებულად. საოლქო კომისიები დროულად ახორციელებენ არჩევნების მზადებასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ღონისძიებას, სახავენ დამატებით ღონისძიებებს, რათა დაეხმარონ და გააუმჯობესონ საუნო კომისიათა მუშაობა. აღინიშნა, რომ ამომრჩეველებთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრებისადმი მიძღვნილი მშრომელთა კრებები, რომელებიც მილიონობით საბჭოთა ადამიანი მონაწილეობს, კვლავ ადასტურებენ ჩვენი ხალხის მაღალ პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას. ეს შეხვედრები პარტიის სამდისადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი ხალხის ერთგულების დემონსტრაციაა. ამ შეხვედრებზე მშრომელები გვიჩვენებენ, რომ დიდად არიან დაინტერესებული სახელმწიფო საქმეებით. საბჭოების საქმიანობის შემდგომი გაუჯობესებით.

საარჩევნო უბნებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნისათვის მუშაობის დამთავრებისა და ამომრჩეველთა სიების შედგენის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილია 170 ათასზე მეტი საარჩევნო უბანი და ამდენივე საუბნო კომისია. ამ კომისიათა შემადგენლობაში მილიონ ოთხას ათასზე მეტი კაცია. ყველანაირ შედგენილია და საყოველთაო ჯანრთელობისათვის წარმოდგენილია ამომრჩეველთა სიები.

სამეზავრო მატარებლებში საარჩევნო უბნების შექმნისა და კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შესაბამისი ოლქებისადმი მათი მიწერის შესახებ, აგრეთვე დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში და გემებზე საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ სხდომის მონაწილეებს მოახსენეს: სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრმა ტ. ბ. ᲒᲣᲓᲘᲜᲝᲕᲘ, სსრ კავშირის გზათა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ᲒᲣᲜᲓᲝᲑᲘᲜᲘᲜ, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. მ. ᲙᲐᲛᲔᲒᲪᲔᲕᲐ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრის მოადგილემ ნ. Ა. ᲑᲘᲫᲘᲜᲐ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა საოლქო კომისიებს გაუგზავნოს წერილი არჩევნებისათვის მზადების დამთავრებასა და მის ჩატარებასთან დაკავშირებით. განიხილა მთელი რიგი სხვა საკითხები.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაში მონაწილეობდნენ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რუსეთის სფსრ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. ვ. ᲕᲝᲚᲙᲝᲕᲘᲩᲘ, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვ. ი. ᲒᲚᲔᲜᲙᲘᲜᲐ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბამდცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. ᲜᲔᲑᲘᲔᲜᲘᲜᲐ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ი. ᲙᲠᲙᲜᲘᲜᲘ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ხ. პ. ᲜᲘᲫᲮᲝᲕᲐ, რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის მინისტრი ს. ა. ᲙᲣᲠᲩᲘᲜᲝᲕᲘ. საბჭოთა საზოგადოებრიობის, პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლები.

(საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲐᲠᲩᲘᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

მრთ თვეზე ნაკლები დრო რჩება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს — სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებამდე, ორგანოსი, რომელიც გამოხატავს მთელი საბჭოთა საზოგადოების ნებასა და ინტერესებს.

არჩევნებისათვის მზადებაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საოლქო და საუნო საარჩევნო კომისიებმა, რომელთა მოვალეობაა განუხრ

მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით არსებულ სიმძლავრეთა რეკონსტრუქციის გზით გამოვუშვათ მეტი, მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

მოწინავეთა მაგალითი — ყველას!

უფრო ფართოდ დავნერგოთ სვერდლოვსკელთა გამოცდილება!

სკკპ XXIV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ „ეკონომიურად უფრო ხელსაყრელია უზრუნველყოთ პროდუქციის მატება საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური მოდერნიზაციის გზით“.

ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის ამ ფუძემდებელ დასკვნას დამაჯერებლად ადასტურებს სვერდლოვსკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება მინიმალური კაპიტალური დაბანდებებით მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის მშრომელთა დარაზმვის საქმეში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა სვერდლოვსკელთა გამოცდილებას, მათს პატრიოტულ მოძრაობას მოწყობილობის მოდერნიზაციის, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, წარმოების სპეციალიზაციის, არსებული რეზერვების უფრო სრულად გამოყენების გზით მოქმედ საწარმოებში პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის. ეს უზრუნველყოფს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების მაღალ მაჩვენებლებს და საპროექტო სიმძლავრეთა უსწრაფეს ათვისებას, ამას დიდი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

რესპუბლიკის მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის მუშაობის შემდგომი გაძლიერების, მისი ეფექტიანობის ამაღლების საკითხებზე იყო ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე. ეს საკითხები დაწვრილებით განხილეს პლენუმამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამართულ თათბირზე.

ვახორციელებთ ყრილობის გადაწყვეტილებებს

სვერდლოვსკის ოლქში არის ბევრი მკაფიო მაგალითი იმისა, თუ რამდენად ეფექტიანია საწარმოთა მოფიქრებული, კარგად ორგანიზებული და უნარიანად ჩატარებული რეკონსტრუქცია.

ქრასნოურალსკის სპილენძსადნობ კომბინატში საპროექტო სიმძლავრეები ჯერ კიდევ 1968 წელს ითვისებოდა, მაგრამ საწარმოს მუშათა ჯგუფმა სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლებთან ერთად წინადადება წამოაყენა მოეხდინათ ორმაგი სუპერფოსფატის საამქროს რეკონსტრუქცია. 1972 წელს რეკონსტრუქცია ძირითადად დამთავრდა. ამის შედეგად მინერალური სასუქების გამოშვება გაიზარდა 1.7-ჯერ, შრომის ნაყოფიერება კი — ერთიანად მომუშავეთა რიცხვის ამსოლუტური შემცირების პირობებში. ამასთან დამატებითი მატების ყოველ ტონა პროდუქციაზე ხვედრითი კაპიტალური დანახარჯები 18-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ყოველ ტონაზე საამქროს შენებლობისას. გარდა ამისა რეკონსტრუქციის დროს შეიქმნა შესაძლებლობა ტექნოლოგიური პროცესიდან გამოერიცხათ ორ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მოწყობილობა.

პერვოურალსკის ახალი მილის ქარხნის მუშაკებმა გადაწყვიტეს, რომ ერთ-ერთ მილსაგლინავ დგანზე მიღებული სპეციალური სამძლავრის ადიდება შეიძლება მისი რეკონსტრუქციის გზით. წარმოების მოძაკებმა წამოაყენეს შესაბამის ღონისძიებათა პროექტი. წინადადება ფართოდ განიხილა ქარხანაში, იგი მოწონეს პარტიის საქარხნო, შემდეგ კი საქალაქო კომიტეტებმა. ხოლო სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის ბიუროომ ამ საკითხზე სპეციალური დადგენილება მიიღო. რეკონსტრუქცია მოაწყვეს დგანის გაუჩერებლად, საგებო მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ოროს. ამის შედეგად წარმოების მოცულობა 21 პროცენტით გაიზარდა. დგანის რეკონსტრუქციისაგან ხვედრითი კაპიტალური დაბანდება წლიური სიმძლავრის მატების ყოველ ტონაზე 7-8-ჯერ ნაკლებ ეღირა, ვიდრე ახალი მილსაგლინავი საამქროების შენებლობისას. ამჟამად ქარხნის მუშაკებმა წინადადება წამოაყენეს განაგრძონ დგანის რეკონსტრუქცია, რათა კვლავ მნიშვნელოვნად გაიზარდოს მისი სიმძლავრე.

ამ საწარმოს კოლექტივმა უკანასკნელი წლების მანძილზე განახორციელა მოწყობილობის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის 640-ზე მეტი ღონისძიება, რომლებსაც მოჰყვა 16,5 მილიონი მანეთის პირობითი წლიური ეკონომია. ეკიდე ორ მილიონ მანეთზე მეტი დაზოგა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის 1575 ღონისძიების დანერგვამ. ამის შედეგად წარმოება 24 პროცენტით და მატად გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება — 27 პროცენტით. ქარხანამ სიმძლავრეს მიაღწია ოთხ 1972 წელს, მაშინ როცა საპროექტო დავალებით სიმძლავრის ათვისების ვადა დადგენილი იყო 1980 წლისათვის. ამასთან ხუთჯერ ნაკლები კაპიტალური დაბანდებანი დასჭირდათ, ვიდრე გათვალისწინებული იყო თავდაპირველად.

შიგასაქარხნო სპეციალიზაციის პროგრესული პრინციპები ოდევს საფუძვლად ურალის ტექნიკური მანგანთასაშენებელი ქარხნის რეკონსტრუქციას. ამ საწარმოში ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის შედეგად ერთეულ მოწყობილობაზე, ერთეულ საწარმოო ოპერაციაზე გაიზრდება ხვედრითი ანართმი. ამ საწარმოს რეკონსტრუქციის შესახებ საპროექტო ვადაწყვეტათა რეალიზაციამ დაზოგა 14 მილიონი მანეთი.

სვერდლოვსკის სახლთსაშენებელი კომბინატი ასრულებს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მთელ კომპლექსს. დაწყებული სახლების მოპირკეთებით და დამთავრებული სახლებამდე ყველა საჭირო კომუნიკაციის გაყვანით, რეკონსტრუქციის, წარმოების ტექნიკის შიცვლის, სახლების მოცულობითი ელემენტების დამზადების ინდუსტრიული მეთოოროების გამოყენების შედეგად მაგალითად, კომბინატში შემავალი რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხნის სიმძლავრე 30 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მაშინ როცა ახალი მშენებლობისათვის დაბანდებული იყო 105 მანეთი კუბურ მეტრზე და რეკონსტრუქციისათვის — 67 მანეთი, ქარხნის კოლექტივმა თვეტიურად კუბურ მეტრზე სულ 46-46 მანეთი დაზოგა.

სოფლის მეურნეობაში რეკონსტრუქციის ეფექტიანობის კარგი მაგალითია მუშაობა სვერდლოვსკის ოლქის „ფრინველმრეწვის“ ტრესტის ფაბრიკებში მინიმალური კაპიტალური დაბანდებების პირობებში პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის. იმის შედეგად, რომ ფრინველები უფრო პროგრესულ მოცულ-შენახვაზე გადაიყვანეს, იმავე ფართობებზე მოათავსეს ათჯერ მეტი ფრთა ფრინველი, ვიდრე უწინ. ხოლო კვერცხის გამოშვება ტრესტის ფაბრიკებში ერთიანად გაიზარდა, რის შედეგადაც სავსებით უზრუნველყვეს ოლქის მსხვილი სამრეწველო ცენტრების მოთხოვნილება ამ პროდუქტზე. რეკონსტრუქციისათვის დახარჯული 20 მილიონი მანეთით ნაკლები, ვიდრე დასჭირდებოდა ახალი სადგომების შენებლობას.

რეკონსტრუქციის დიდი სამუშაოები ხორციელდება ოლქის ბევრ სხვა საწარმოშიც.

წარმოების რეკონსტრუქციის, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და ტექნოლოგიის სრულყოფის ღონისძიებებმა მთლიანად სვერდლოვსკის ოლქში დაზოგეს ასობით მილიონ მანეთი კაპიტალური დაბანდებანი. მოგვარდა ახალი, სახელმწიფოსათვის მეტად საჭირო ნაწარმის გამოშვება. ჩქარდება სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპი, ამასთან უმთავრესად შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ამოცანა

სვერდლოვსკელთა გამოცდილება დეტალურად განიხილეს და შეისწავლეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, რომლებმაც მიმდინარე წლის იანვარში მიიღეს ერთობლივი დადგენილება „მინიმალური დანახარჯებით მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის სვერდლოვსკის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილების გამოყენების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ საკმარისად არ ეწევიან მუშაობას პროდუქციის გამოშვების გადიდების რეზერვების დანერგვისათვის. არადამაკმაყოფილებლად წყდება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეების უკეთ გამოყენებისა და გაზრდის, მოწინავე ტექნიკის დანერგვის, წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელების გზით, რომლებიც უზრუნველყოფენ, როგორც წესი, პროდუქციის გამოშვების გადიდებას საწარმოო სიმძლავრეთა გაუფართოებლად, მინიმალური დანახარჯებით და ახალ მშენებლობასთან შედარებით უფრო მოკლე ვადებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს აგრეთვე, რომ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებენ საწარმოთა რეკონსტრუქციის საკითხთა გადაჭრას. ეს მაგალითად, იმას იწვევს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედ საწარმოთა გაფართოებისათვის, რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის კაპიტალური დაბანდებათა ხვედრითი წონა კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობაში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გაორმაგებით ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ხელმძღვანელებს, პირველად პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს თავიანთ ყოველდღიურ ამოცანად მიიჩნიონ არსებულ საწარმოთა სიმძლავრეების უფრო სრულად გამოყენება და ახალი საწარმოო სიმძლავრეების ათვისების ვადების შემცირება: წარმოების სპეციალიზაცია: ახალი ტექნიკის დანერგვა, მოძველებული მოწყობილობის შეცვლა და მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაცია; ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა და მათი მაქსიმალური ავტომატიზაცია გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენებით: წარმოების ეიწრო ადგილების ლიკვიდაცია; შრომის ნაყოფიერების გადიდება მძიმე ხელით შრომის ლიკვიდაციის გათვალისწინებით; პროდუქციის ხარისხის განუხრელი და გეგმაზომიერი ამაღლება.

ამისათვის სამინისტროებმა და უწყებებმა, ათბოზოთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებმა, შრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოში განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების, საწარმოთა ხელმძღვანელებმა „მიმდინარე წლის დამდეგიდან უნდა შეიმუშაონ საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ფართო მონაწილეობით ღონისძიებანი, რათა მნიშვნელოვნად გაადიდონ პროდუქციის გამოშვება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით. ამ ღონისძიებათა პროექტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმების შემდეგ, უნდა წარედგინოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წლიურ და პერსპექტიურ გეგმებთან ერთად. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში უკვე შიექმნა მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის სამუშაოთა დაგეგმვისა და კოორდინაციის სტრუქტურული ქვედანაყოფი. მიმდინარე წლიდან დაწყებული სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მისთვის წარდგენილ ღონისძიებათა პროექტების საფუძველზე შიიმუშავებს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებთან ერთად წარუდგენს წინადადებებს მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის შესახებ.

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ შექმნან მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნოლოგიური მოწყობილობის მოდერნიზაციის ჯგუფები, ხოლო მინისტრების ერთ-ერთ მოადგილეს ან სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა ერთ-ერთ მოადგილეს დაეკისრონ მათდამი დაქვემორჩენილ საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის მუშაობის ხელმძღვანელობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი გამართავს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას სვერდლოვსკელთა გამოცდილების ფართო გამოყენების საკითხზე.

წარმატებანი ცალკეულ უბნებზე

ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება გარკვეული მუშაობა საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის. იგი მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა.

რუსთავის ცემენტის ქარხანაში № 3 მბრუნავი ღუმელის რეკონსტრუქციის შედეგად ენგურჰესის მაღლივი კაშხლის მშენებლობისათვის საჭირო სპეციალური ცემენტის წარმოება წელიწადში 30 ათასი ტონით გაიზარდა.

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ერთ-ერთი ქაღალდსაკეთებელი მანქანის მოდერნიზაციამ მისი სიმძლავრე წელიწადში ხუთი ათასი ტონა ქაღალდით გაადიდა.

თბილისის კერამიკული კომბინატის რეკონსტრუქციის შემდეგ მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილების გამოშვება არსებულ საწარმოო ფართობებზე წელიწადში 560-დან 750 ათას კვადრატულ მეტრამდე გაიზრდება.

მთელი რიგი წლების მანძილზე რეკონსტრუირებულია რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის ზოგიერთი საამქრო და წარმოება, რის შედეგადაც ცალკეულ უბნებზე მიღწეულია დადებითი შედეგები. ახლა საწარმოში თითქმის აღარ სჭირდებათ მტვრთავები, ცეცხლფარეშები. ხელის შრომის მექანიზაცია ზოგიერთ უბანზე 90 პროცენტამდე გაიზარდა.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის განახლებას, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილებაში გაითვალისწინეს ამ საწარმოს კომპლექსური რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციის მიზანია მოისპოს ცალკეულ საწარმოთა განვითარების არსებული დისპროპორციები, ამაღლდეს პროდუქციის ხარისხი. ამას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ყოველი ერთი მანეთის გამოშვებული პროდუქციის დანახარჯები და გაადიდოს საწარმოს რენტაბელობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება დაუყოვნებლივ საფუძვლად დაედო საწარმოს კოლექტივის მთელ პრაქტიკულ მუშაობას. შეიქმნა მუდმივმოქმედი ორგანო — ქარხნის რეკონსტრუქციის შტაბი, რომელსაც ქარხნის დირექტორი მეთაურობს. ხელმძღვანელობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ასე დააყენეს საკითხი: ქარხნის რეკონსტრუქციის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებით უწინარეს ყოვლისა დაინტერესებულია კოლექტივი. მაშასადამე, დასახული პროგრამის შესრულება — ეს მისი მოვალეობაა. თვითეულ რეკონსტრუირებულ ან მშენებარე ობიექტებზე გამოყოფილი არიან პასუხისმგებელი კომპეტენტური, კვალიფიციური მუშაკები. ისინი განთავისუფლებული არიან სხვა მოვალეობებისაგან და ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოში მუშაობენ. თვითეულ შემსრულებელზე კონკრეტულად განსაზღვრულია სპეციალურ-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოცულობა, რომელიც მომდინარე წლის 1 სექტემბრამდე უნდა მომზადდეს. საკვანძო საკითხები განხილულია გენერალურ დამპროექტებლებთან და სიფრანგო ორგანიზაციებთან.

რეკონსტრუქციის ხაზით მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივი. მოწყობილობის რაციონალური განლაგების გზით ისინი უნარიანად ათავსებენ თართობებს. აქ შეძლეს ამ თართობებზე დაამონტაჟებინათ ათობით ახალი დიდმწარმოებლური ჩარხი და, გარდა ამისა, გაეთავისუფლებინათ მეჩარხეები. ქარხნის ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებათა დანერგვის შედეგად მთლიანად მიმდინარე ხუთწლიდის სამი წლის მანძილზე მიღებულია რამდენიმე მილიონი მანეთი ეკონომიური ეფექტი.

1972-1973 წლებში რისპუბლიკის ჩაის ფაბრიკების რეკონსტრუქციის გზით მათი სადღეღამისო სიმძლავრე 150 ტონით გაიზარდა. ხოლო 1974-1975 წლებისათვის გათვალისწინებული 13 ასეთი გადაასაშვებელი ფაბრიკის რეკონსტრუქციის სამუშაობი მათ სადღეღამისო სიმძლავრეს დამატებით გაზრდიან 600 ტონით. ჩაის ფაბრიკების რეკონსტრუქციის, მოწყობილობის მოდერნიზაციის შედეგად მიმდინარე ხუთწლედში მათი სადღეღამისო სიმძლავრე სულ გაიზრდება 1500 ტონით.

ამდენი რაოდენობის ნედლეულის გადასამუშავებლად საჭირო ენერგიის 22-23 ახალი ჩაის ფაბრიკის აშენება. ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება ქვეყანას 28,8 მილიონ მანეთს დაუზოგავს.

ახლა მიმდინარეობს თბილისის ჩაის საწონი და სამტრედიის ჩაის საშუნი ფაბრიკების რეკონსტრუქცია, რომლის ღობთარების შემდეგ ამ საწარმოოა სიმძლავრე მნიშვნელოვნად გადიდდება, წელიწადში 38 ათასი ტონით გაიზარდა რესპუბლიკის პირველადი მეკვონების ჩაის ფაბრიკების სიმძლავრე. მათი რეკონსტრუქციის შემდეგ. ხოლო 1975 წლისათვის ამ დარგში დასახული სამუშაოები ამ საწარმოოა სიმძლავრეს კიდევ 44 ათასი ტონით გაზრდიან. ამის შედეგად 20 მილიონი მანეთი დაზოგება.

საწარმოო სიმძლავრენი შესაძლებელად გადიდდა არა მარტო ჩაისა და ოენის, არამედ ყველის მრეწველობის სხვა დარგებშიც. მაგალითად, „ბოროჯომის“ საწარმოო გაერთიანების საწარმოთა და სხვა მინერალური წყლების ჩამოსასხმელ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნოლოგიური აღჭურვის შედეგად მათი წლიური სიმძლავრე ხუთწლედის მანძილზე გადიდდება 300 მილიონი ბოთლით, დაიზოგება 11 მილიონი მანეთი. სულ კი რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროში საწარმოთა რეკონსტრუქციის შედეგად ხუთწლედის მანძილზე 72,8 მილიონი მანეთი დაიზოგება.

მაქსიმუმი უკუგება მინიმალური დანახარჯებით

საქმე ეხება, რა თქმა უნდა არა იმას, რომ საწარმოთა რეკონსტრუქცია მოვახდინოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს, არამედ იმას, რომ განვახორციელოთ მათი რაციონალური, ყველაზე ეფექტიანი რეკონსტრუქცია, რომელიც მაქსიმუმ მოგვბას იძლევა მინიმალური დანახარჯებით. მაშასადამე, საქმე ეხება კარგად მოფიქრებულ, გეგმაზომიერ რეკონსტრუქციას. ამიტომ სვერდლოვსკელთა გამოცდილება დიდად საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, თუ როგორ განვახორციელოთ რეკონსტრუქცია.

სამრეწველო საწარმოს მოცულობის ზრდის სვერდლოვსკელთა მიერ არჩეულ გზას დიდი უპირატესობა და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რაციონებისათვის, სადაც სამრეწველო საწარმოთა მაღალ კონცენტრაციის პირობებში შეზღუდულია მუშახელის რესურსები და მნიშვნელოვანი რაოდენობითაა ძველი ფაბრიკა-ქარხნები.

ფონდეკონომიებისა დაჩქარებისა და კაპიტალურ დაბანდებათა მაღალი ეფექტიანობის მიღწევის აუცილებელი პირობაა დღენიადაგ ვაუმჯობესებდეთ კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურას და ვზრდიდეთ მათ შემადგენლობაში მანქანების, ჩარხებისა და მოწყობილობის წილს. რეკონსტრუქცია ძირითადი საწარმოო ფონდების სტრუქტურაში აშცირებს შენობათა და ნაგებობათა ხვედრით წონას და ზრდის აქტიური ფონდების — მანქანებისა და მოწყობილობის ხვედრით წონას. ამის შედეგად, როგორც წესი, მატულობს ფონდეკონომია.

თუმცა ყოველ საწარმოს თავისი სპეციფიკა აქვს და ამის გამო სხვადასხვა შემთხვევაში წარმოების ტექნიკური ხელახალი აღჭურვის ჭარხნისა თუ ფაბრიკის რეკონსტრუქციის საკითხები შეიძლება სხვადასხვაგვარად გადაწყდეს, ამ მხრივ მაინც საყურადღებოა ნიკინი ტაკალის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივის გამოცდილება.

ტექნიკური პროგრესის, შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის, სოციალური განვითარების გეგმების შესაბამისად ამ საწარმოში მთელი კოლექტივის მონაწილეობით შეიმუშავეს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა ეტაპები. ამ ღონისძიებათა განხორციელების პრაქტიკული მუშაობა სამ ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე განმარტავდნენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის გზების შესახებ. სწავლობდნენ და ფართო პროპაგანდას უწევდნენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პრობლემებს, რათა თვითეული მშრომელისათვის გაეცნოთ მათი აქტუალობა და მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

მეორე ეტაპზე იმართებოდა მუშათა კრებები ყველა საამქროსა და წარმოებაში. ამ პერიოდში წამოყენებულ იქნა ასობით კონკრეტული წინადადება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას, შრომის ორგანიზაციისა და პირობების გაუმჯობესებას. მესამე ეტაპზე განიხილავდნენ და აზოგადებდნენ რეკონსტრუქციის წინადადებებს. რომლებსაც შესაბამისი სპეციალისტები აფასებდნენ. ამასთან დასახული პრობლემების დეტალურ შეგუშავებაში ჩაბმული იყვნენ სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციები. შემდეგ განსაზღვრეს რეკონსტრუქციის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების წესი და ვადები.

ამრიგად, კოლექტივი არა მარტო მოზმე, არამედ ყველაზე აქტიური მონაწილე გახდა საწარმოს რეკონსტრუქციისა.

ამას აქვს უდიდესი აზრი: მუშამ, ტექნიკოსმა, ინჟინერმა ხომ ყველაზე უკეთ იცის „ვიწრო ადგილები“ თავისი უბნისა თუ საამქროს მუშაობაში, სწორედ ამიტომ მათ შეუძლიათ წამოაყენონ საყურადღებო წინადადება, თუ როგორ გამოსწორონ მდგომარეობა, როგორ გამოიყენონ უფრო სრულად ტექნიკა და სხვ.

პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, პრინციპულად ახალი მოწყობილობის წარმატებით დანერგვა და რეკონსტრუქციის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა შესაძლებელია მხოლოდ ამ პირობით, თუ ნჯიდრო ურთიერთობა აქვთ წარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების მუშაკებს.

სასარგებლოა ურალის მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივის მდიდარი გამოცდილება, რომელმაც შეასრულა უკანასკნელ წლებში სვერდლოვსკის ოლქის მეტალურგიული ქარხნების ყველა ავადმყოფი და რეკონსტრუირებული საამქროს პროექტები.

მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის საპროექტო სამუშაოები ორ პერიოდად უნდა დაიყოს. პირველ პერიოდში განსაზღვრება რეკონსტრუქციის მიმართულება და მოცულობა მისი მიზანშეწონილობისა და ეკონომიურობის გათვალისწინებით. წარმოებს ტექნიკისა და ტექნოლოგიის მდგომარეობის ანალიზი, განსაზღვრება შრომის და წარმოების ორგანიზაციის დონე, აკეთებენ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ავლენენ რეკონსტრუქციის შესაძლებლობას მოქმედი საწარმოს პირობებში. მეორე პერიოდში მზადდება სამუშაო ნახაზები, ამასთან უზრუნველყოფენ დამპროექტებლებისა და წარმოების მუშაკების მჭიდრო, ყოველდღიურ ურთიერთობას.

ურალის მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პრაქტიკამ გამოავლინა, რომ მიზანშეწონილია საწარმოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის — რეკონსტრუქციისათვის პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მონაწილეობა დამპროექტებლებთან ერთად ყველა ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხის გადაჭრაში. უზრუნველყოფილი იქნება უფრო მეტი წარმატება, როცა სამშენებლო ორგანიზაციებიც ემონაწილეოფენ ამ მიზნისათვის თავიანთ პასუხისმგებელ წარმომადგენელს.

რეკონსტრუქცია მიმდინარეობს ძირითადად სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე. კაპიტალური მშენებლობის, საწარმოებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა განაწილების გეგმის შედგენისას, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიურად ეფექტიანი სამუშაოები მრწყობილობისა და წარმოების რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციისათვის.

საჭიროა აგრეთვე რეკონსტრუქციას მოვახმაროთ და სწორად გამოვიყენოთ წარმოების განვითარების ფონდები. რომელიც იზრდება სამეურნეო რეფორმის პირობებში (რა ოქმა უნდა, თუ საწარმო ასრულებს გეგმებს და მუშაობს მომგებიანად). მაგალითად, 1971 წელს სვერდლოვსკელებმა წარმოების განვითარების ფონდიდან რეკონსტრუქციას მოახმარეს 134 მილიონი მანეთი; 1972 წელს ამ ფონდის ხარჯზე მოახდინეს ოლქის 120 ობიექტის რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია. თუ საწარმოში საკმარისი არ არის წარმოების განვითარების ფონდი, რეკონსტრუქციისათვის მნიშვნელოვანი სახსრების მიღება შეიძლება სახბანკის სესხის გზით.

რეკონსტრუქციას მაქსიმალურად უნდა მოვახმაროთ აგრეთვე კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული სახსრები. როგორც გამოკვლევა აჩვენებს, დაგეგმილი კაპიტალური რემონტის პერიოდში მოწყობილი რეკონსტრუქცია ყველაზე მეტ ეკონომიურ ეფექტს იძლევა, რადგან ამ შემთხვევაში საერთოდ მცირდება მოწყობილობის მოცულობის ხადი, უზრუნველყოფილი ხდება ათობით და ასეულათასობით მანეთის დამატებითი პროდუქციის გამოშვება.

რეკონსტრუქციის სამუშაოებში ჯეროვანად უნდა ჩაერთოთ სამშენებლო ორგანიზაციები. ამასთანავე ეს სამუშაოები სულ უფრო მეტი მოცულობით უნდა ვაწარმოოთ საკუთარი ძალებით, რისთვისაც საჭიროა განვავითაროთ საკუთარი სამშენებლო ქვედანაყოფები. ეს გზა რომ ეფექტიანია, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი; მერვე ხუთწლედში სვერდლოვსკის ოლქის ზაღი და ფერადი მეტალურგიის საწარმოთა კაპიტალური მშენებლობის განყოფილებებმა საკუთარი ძალებით შეასრულეს 92 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ამომქმედეს 123 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები.

რეკონსტრუქციის დიდ და მნიშვნელოვან საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ პარტიული ორგანიზაციები. პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც იყენებენ მეურნეობის ხელმძღვანელობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს, ამ შემთხვევაში კომუნისტთა და ყველა მშრომელის მთავარი ყურადღება უნდა მიიპყრონ ეკონომიკის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. ამ ამოცანის გადაწყვეტას ბევრად შეუწყობს ხელს კარგად მოფიქრებული და ზუსტად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება. სვერდლოვსკელთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, თვითეულ მშრომელს გააცნონ რეკონსტრუქციის ღონისძიებათა აზრი და მიზანშეწონილობა.

კერძოდ, ყოველმა მშრომელმა უნდა დაისახოს რეკონსტრუქციის შედეგების სოციალური ასპექტები. სვერდლოვსკელებმა, რომლებიც ადგანან საწარმოთა რეკონსტრუქციისა და წარმოების ინტენსიფიკაციის გზას, შექმნეს დამატებითი შესაძლებლობანი მშრომელთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და კეთილდღეობის ღონის ამაღლებისათვის მატერიალური სტიმულირების მზარდი ფონდების ხარჯზე. მაგალითად, „ურალლაბგესტის“ კომბინატში გადაწყვეტილია საბავშვო დაწესებულებათა პრობლემა. წარმატებით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა, აშენებულია მუშა-ახალგაზრდობის სკოლა, პოლიკლინიკა, საბავშვო სანატორიუმი. სტადიონები, სპორტული მოედნები და დარბაზები, მაღაზიები, კულტურის სასახლე, უნივერმაღი, საყოფაცხოვრებო სახლი, საწარმოს სახსრებით შენდება ჰიროიურალსკის ახალი მილის ქარხნის მშრომელთათვის ყოველი მეხუთე სახლი, აშენებულია და საწარმოს სახსრებით მუშაობენ სახლი, ექვსი დასასვენებელი ბაზა ქალაქგარეთ ოა სხვა. ყოველივე ეს კანონზომიერია: საწარმოთა რეკონსტრუქცია საშუალებას იძლევა ამაღლონ მათი რენტაბელობა და გაზარდონ მოგება, რომლებზეც უშუალოდ არის დამოკიდებული მატერიალური წახალისების ფონდების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, საბინაო მშენებლობისა და წარმოების განვითარების ოდენობა.

საწარმოთა რეკონსტრუქცია ამასთანავე იწვევს მუშათა კადრების ცვალებადობის სტრუქტურის არსებითს შეცვლას. ზრდის ავტომატიზებული და მექანიზებული შრომით დასაქმებულ მუშაკთა რიცხვს. ამრიგად, მცირდება არაკვალიფიციური შრომის მუშათა ხვედრითი წონა, ჩნდება ახალი პროფესიები.

დაჩქარებული განვითარების მტკიცე ბაზა

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებს გარკვეული მუშაობა საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის, რის მეხუთბითაც მთელ რიგ შემთხვევებში ვაღწევთ მნიშვნელოვან ეფექტს, მთლიანად საქართველოს მრეწველობაში იგი საკმარისად გამიზნული არ არის.

სამინისტროები და უწყებები, საწარმოთა ხელ

ამბები • ფაქტები

საქართველოს კონტაქტები

შეხვედრები ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 21 მაისი. (საკდესი). აქ ჩამოსული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, შეხვედრებსა და საუბრებს აწყობს ამერიკის კონგრესის წევრებთან.

გუშინ საბჭოთა დელეგაცია შეხვდა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრებს — საბჭოთა სტუმრებს მიესალმა ამ კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი სენატორი ჯ. სპარკმენი, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პარლამენტთაშორისო კონტაქტების დაწყების გამო. მან თქვა: დარწმუნებული ვარ, ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის შემდგომ დაახლოებასო.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ბ. ნ. პონომარიოვმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პირველი ვიზიტი შეერთებულ შტატებში ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენაა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ისტორიაში.

გასულ წელს, თქვა ბ. ნ. პონომარიოვმა ამერიკის კონგრესის წევრებთან საუბრისას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესია და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარებას. ჩვენი ვიზიტი, შეიძლება ითქვას, შეავსებს ერთ-ერთ ხარვეზს, რომელიც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში გვქონდა.

შემდეგ განიხილეს მთელი რიგი საერთაშორისო საკითხები, მათ შორის საკითხი, თუ როგორ ვითარდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა მოსკოვში ხელმოწერილი ორი ქვეყნის ურთიერთობის საფუძვლებისა და სხვა იმ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებიც მოსკოვისა და ვაშინგტონის უმაღლესი დონის შეხვედრების დროს დაიდო. გაიმართა აზრთა გაზიარება ისეთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე, როგორიც არის განიარაღება, ახლო აღმოსავლეთის ამბები, ევროპის უშიშროება და სხვა.

ამავე დღეს საბჭოთა დელეგაცია დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების სენატის სხდომას, რომელზეც დელეგაციას მიესალმნენ რესპუბლიკელთა ლიდერი ჰ. სკოტი და სხვა სენატორები.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ჯ. სპარკმენმა საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად საქმიანი საუზმე გამართა.

შეკრებილ სენატორთა წინაშე გამოსვლისას ბ. ნ. პონომარიოვმა ილაპარაკა ორი ქვეყნის საპარლამენტო ურთიერთობის განმტკიცების საჭიროებაზე. მან გამოთქვა აზრი, რომ ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მნიშვნელოვან გაფართოებასა და განმტკიცებას.

გუშინ საბჭოთა დელეგაცია შეხვდა აგრეთვე. სენატის ფინანსთა კომისიის წევრებს, რომელიც სავაჭრო რეფორმის კანონპროექტს იხილავს. ამ პროექტით, კერძოდ, გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირზე გავრცელდეს ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი.

მთავრობის მითითება

ლონდონი, 22 მაისი. (საკდესი). ინგლისის მთავრობამ მითითება მისცა „როლს-როისის“ კომპანიას გააუქმოს ჩილეს საუბედურო საჰაერო ძალების თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურების კონტრაქტი და აუკრძალოს ამ თვითმფრინავების სათადარიგო ნაწილების ექსპორტი ჩილეში.

ეს განაცხადა თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა. მან თქვა, რომ „როლს-როისის“ ავიამშენებელი მუშები უარს ამბობენ შეასრულონ ჩილეს ხუნტის შეკვეთები.

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

○ *ჰარიზი*

განსაზღვრავენ პოლიტიკურ კურსს

○ *ბეირუთი*

ნაღმი... საგავშვო სათამაშოებში

○ *კანბერა*

შეტევა უცხოეთის კაპიტალზე

მსოფლიო დღეს

საფრანგეთი პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ

პარიზი, 21 მაისი. (საკდესი). ამ დღეებში საფრანგეთის პოლიტიკური პარტიები აჯამებენ პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს და განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ კურსს იმ ახალი ვითარების შესაბამისად, რომელიც შეიქმნა რესპუბლიკის პრეზიდენტად ვ. ჟისკარ დ' ესტენის არჩევნებთან დაკავშირებით.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს გამომქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არჩევნებში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს მემარცხენე ძალებმა. „ასეთი მასშტაბისა და ასეთი პოლიტიკური მნიშვნელობის შედეგებისათვის ჯერ არასდროს არ მიუღწევიათ გაერთიანებულ მემარცხენე ძალებს, არასდროს არ მიუღწევია მუშათა, დემოკრატიული და ეროვნული ძალების კავშირს“, — ნათქვამია განცხადებაში.

აფასებს რა არჩევნების მეორე ტურის შედეგებს, სოციალისტური პარტიის ბიურო აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნავს, რომ ეს შედეგები მემარცხენე ძალებს კარგ პერსპექტივებს უსახავენ.

მემარცხენე ძალების ერთობლივმა კანდიდატმა ფ. მიტერანმა, რომელიც სოციალისტური პარტიის პირველი მდივნის პოსტს უბრუნდება, განაცხადა, რომ „მემარცხენე ძალებმა საფრანგეთის თანამედროვე ისტორიაში საუკეთესო შედეგს მიაღწიეს“.

ახალი მთავრობის მიმართ სამთავრობო კოალიციის წამყვანი პარტიის — რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირის პარტიის პოზიცია განხილეს ამ პარტიის აღმასრულებელი ბიუროს სხდომაზე. სხდომის შემდეგ რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირის პარტიის გენერალურმა მდივანმა ა. სანგენეტიმ განაცხადა, რომ მისი პარტია ახალ პრეზიდენტს „ლოიალურ მხარდაჭერას“ გაუწევს, ხოლო რაც შეეხება მომავალ მთავრობას, მისდამი დამოკიდებულებას პარტია განსაზღვრავს მთავრობის პროგრამის კვალობაზე, რომელსაც პარლამენტს წარუდგენენ, აგრეთვე მისი შემდგომი საქმიანობის შესაბამისად.

ამერიკის სენატში

ვაშინგტონი, 21 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა დიდმნიშვნელოვანი შესწორებები შეიტანა მის მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო დეპარტამენტის მომავალი საფინანსო წლის ბიუჯეტის კანონპროექტში. ერთ-ერთი შესწორება უკრძალავს მთავრობას უცხოეთის სახელმწიფოებთან ეგრეთ წოდებული აღმასრულებელი შეთანხმებების დადებას ამ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნის შესახებ კონგრესის წინასწარი მოწონების გარეშე. აღმასრულებელი შეთანხმებანი არ მოითხოვენ სენატის დამტკიცებას და მათ ფართოდ იყენებდა მთავრობა კონგრესისათვის გვერდის აქცევით არაპოპულარული საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ამ ბოლო დროს ასეთი შეთანხმება, კერძოდ, დაიდო პორტუგალიის აძალად დამზობილ რეჟიმთან, და ითვალისწინებდა შეერთებული შტატებისათვის აზორის კუნძულებზე სამხედრო-საჰაერო ბაზების მიცემას.

სენატმა აგრეთვე მიიღო სპეციალური შესწორება, რომელიც მოითხოვს, რომ მთავრობამ დასადასტურებლად წარუდგინოს მას შეთანხმება დეიგოგარსიის აუნძულზე ამერიკის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობის შესახებ, რომლის გამო მიდინარეობს ინგლის-ამერიკის კონსულტაციები.

დიდი მნიშვნელობა აქვს შესწორებას, რომელიც შეიცავს მოთხოვნას გადასინჯონ კუბის ეკონომიური და პოლიტიკური იზოლაციის კურსი, რომელსაც ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ადგას.

რა არ ხდება!..

მწერალი... ჟურდის როლში

ცნობილი კანადელი მწერალი ქალი კსავიე ჰოლანდერი, დეტექტიური რომანების ავტორი, დაკავებულ მაშინ, როცა იგი ვანკუვერის უნივერსიმალში ქალის რამდენიმე ხალათს იპარავდა. სასამართლოზე მან თქვა, რომ დანშაული ჩაიდინა მხოლოდ იმიტომ, რათა უფრო ღრმად ჩასწვდომოდა თავისი მომავალი ნაწარმოების მთავარი გმირის — ბორტმოქმედი ქალის ფსიქოლოგიას. მოსამართლემ ამაზე თავისებური რეაგირება მოახდინა. განაჩენის გამოცხადების დროს მან განაცხადა, ესავე ჰოლანდერისათვის სასარგებლო იქნება პატიმართა ფსიქოლოგიის შესწავლაც.

ყველაზე გრძელი... სურათი

ამ სურათზე ათასი მოყვარული მხატვარი მუშაობდა მთელი კვირის განმავლობაში. როგორც ჩანს, საჭირო ზომის ტილოს უქონლობის გამო სურათს უშუალოდ 700 მეტრი სიგრძის გზატკეცილს მონაკვეთზე ხატავდნენ. „შედევრის“ შექმნაზე დაიხარჯა 125 კილოგრამი საღებავი. სამაგიეროდ ახლა დასავლეთ გერმანიის ქალაქში ბადმიუნსტერეიფელმა „სახელი გაითქვა“ მსოფლიოში ყველაზე გრძელი სურათით.

მოიპარეს ქანდაკება

იტალიელი მძარცველები, რომლებიც ადრე დახელოვნებული იყვნენ ხელოვნების ნიმუშების — ფერწერული ტილოების, ძველებური შენდლების და სხვა „წვრილმანების“ ქურდობაში, ახლა უფრო „მძიმეწონიან“ ოპერაციებზე გადავიდნენ. პალერმოში ახლახან მათ მოიპარეს XVII საუკუნეში გამოძერწილი მარმარილოს ქანდაკება, რომელიც იდგა კარაფოს მოედანზე.

ლეონარდო და ვინჩი სარდაფში

იტალიის ქალაქ მონტელუპონში მცხოვრებმა მარიო ბარდონმა იყიდა სახლი. როცა მან სარდაფის დალაგება დაიწყო, სრულიად შემთხვევით წააწყდა მესანიშნავად დახატულ სურათს. მეორე დღეს მარიო რომში გაემგზავრა და ნაპოვნი სპეციალისტებს აჩვენა. დედაქალაქის ხელოვნებათმცოდნეები, როგორც პრესა იუწყება, ვარაუდობენ, რომ იგი ყალმის დიდოსტატის ლეონარდო და ვინჩის ქმნილებაა.

კაბალური ანდერძი

ინგლისის ქალაქ ლეიდანდის კბილის ექიმმა ფილიპ ჯონსმა 180.000 გირვანქა სტერლინგი უანდერძა თავის პირად მდივანს ამელია უაიტს. მაგრამ ანდერძში ნათქვამია, რომ უაიტი ფულს იმ პირობით მიიღებს, თუ იგი არასოდეს არ ისარგებლებს პომადით და სხვა კოსმეტიკური საშუალებებით, არ ატარებს სამკაულს და არ გამოჩნდება მამაკაცთა საზოგადოებაში ხუთი წლის მანძილზე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ქართველი ფილოსოფოსის შრომები

კრებ. მ. გოგიბერიძის რჩეულ ფილოსოფიურ თხზულებათა სამტომეულის გამოცემის გამო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა მოსე ივანისძე გოგიბერიძის რჩეული ფილოსოფიური თხზულებათა სამტომეული (შესავალი წერილი და რედაქცია გუთვნის პროფ. გ. თევზაძეს). ეს არის პირველი, მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების პრეწყინვალე პლეადის — პროფესორების შ. ნუცუბიძის, დ. უზნაძის, ს. დანელიას, კ. ბაქრაძის, მ. გოგიბერიძის, კ. მეგრელიძისა და ს. წერეთლის ნააზრევის მასობრივი ტარაჟით გამოცემის საქმეში.

მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნება გამოირჩევა მაღალი აკადემიურობითა და თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალური პრობლემატიკის ორიგინალური გააზრებიდანვე მარქსისტული მსოფლმხედველობის მიმდევარია. შემდეგომში, როდესაც ის ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსებთან იღრმავებს ფილოსოფიურ განათლებას, მტკიცე მარქსისტული პოზიციით უდგება ფილოსოფიის თეორიისა და ისტორიის უახლესი პრობლემატიკის გადაწყვეტას. მისი პირველი შრომა „სალომონ მაიმონის აზროვნების თეორია კანტის ფილოსოფიასა და ლოგიკური იდეალიზმის შემდგომ განვითარებასთან მიმართებაში“, რომელშიც მან დოქტორის ხარისხი მიიღო, ფილოსოფიის ისტორიის სფეროს ეკუთვნის, მაგრამ მისთვის ეს იყო გზა ფილოსოფიის თეორიული პრობლემებისაკენ. ამას ადასტურებს მისი მრომები: „შემეცნების აქსიომატური დასაბამი“ და „შემეცნების საგნის პრობლემა“. მათში დასმული ფილოსოფიის ძირული საკითხები მ. გოგიბერიძის მსოფლმხედველობას ფილოსოფიის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად წარმოგვიდგენს.

მ. გოგიბერიძის მეცნიერული კვლევა რამდენიმე მიმართულებით ვითარდებოდა: ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური პრობლემები, რელიგიისა და ათეიზმის საკითხები და მარქსიზმის კლასიკოსთა ფილოსოფიური ეკოლუცია. თვითეულ ამ სფეროში მ. გოგიბერიძემ საკუთარი სიტყვა თქვა. ფილოსოფიის ისტორიის სფეროში მისი დამსახურება იწყება გერმანიაში დაცული სადოქტორო დისერტაციით, რომლითაც მან კლასიკური ფილოსოფიის ისეთ ქვეყანაში, როგორიც გერმანიაა, თავისი აზრი გამოთქვა და ადგილი დაიკავა გერმანიაში გამოსულ ფილოსოფიის ისტორიის ცნობარებსა და ლექსიკონებში. ფილოსოფიის ისტორიის სფეროში მ. გოგიბერიძის დამსახურების აღსანიშნავად მიგუთითებთ რამდენიმე მომენტზე.

ჩვენი საუკუნის 20-ანი წლები იყო შპენგლერიზმის პოპულარობის პერიოდი; მისი პესიმიზმის მქადაგებელი შრომა: „ევროპის მზის ჩასვენება“ ინტელექტუალური სამყაროს გატაცების საგანი გახდა არა მარტო ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ სოციალისტური რუსეთის ინტელიგენციაშიც. გაჩნდნენ შპენგლერის მომდევრები და მოწინააღმდეგენი. მ. გოგიბერიძე იყო ის ფილოსოფოსი, რომელმაც სერიოზული ნაბიჯი გადადგა ანტიშპენგლერიზმის გზაზე. შპენგლერის მოძღვრების გააზრება და სისტემატური კრიტიკა, როგორც მ. გოგიბერიძემ ჩატარა, გვერდში უდგას ცნობიერი რუსი ფილოსოფოსების დებორინისა და ასმუსის მიერ ამ მიმართულებით ეფრო გვიანდელ პერიოდში შექმნილ შრომებს. მ. გოგიბერიძემ აკადემიურ თეორიულ დასაბუთებათა და იმანენტური კრიტიკის შეუზე ჩაატარა ბრძოლა შპენგლერის წინააღმდეგ, ამიტომ მისი შრომები ამ მიმართულებით დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

მ. გოგიბერიძემ, პირველმა საბჭოთა ფილოსოფოსებს შორის, საფუძველი ჩაუყარა ფილოსოფიის პრობლემურ ისტორიას. 1928 წელს გამოვიდა მისი შრომა „მატერიალიზმისა და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე“, რომელიც პირველი სისტემატური შრომა იყო ამ მიმართულებით.

ფილოსოფიის ისტორიული კვლევის სფეროში მ. გოგიბერიძის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დამსახურებაა ის, რომ მარქსისტ ფილოსოფოსებს შორის მან პირველმა შექმნა სისტემატური კურსი „ფილოსოფიის ისტორიაში“, რომელიც შევიდა მის რჩეულ თხზულებათა III ტომში. ეს ნამრომი არა მარტო იმით არის აღსანიშნავი, რომ პირველია ამ სფეროში (საბჭოთა ლიტერატურაში), არამედ მაღალ თეორიულ დონეზეა შესრულებული.

მ. გოგიბერიძემ ოციან წლებში დასვა შემეცნების თეორიის ძირითადი საკითხები და განიხილა ონტოლოგიასთან კავშირში. იმდენად ღრმად, რომ საფუძველი ჩაუყარა დიალექტიკურ ლოგიკურ კვლევაძიებას, რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა პროფ. ს. წერეთლის გამოკვლევებში. მ. გოგიბერიძემ დასვა საკითხი „უსასრულოს კატეგორიალური ანალიზისა“. მისი მსოფლმხედველობა სწორედ ამ მიმართულებით უნდა განვითარებულიყო, რასაც ადასტურებს თხზულებათა პირველ ტომში მოთავსებული შრომა „შემეცნების აქსიომატური დასაბამი“. ამ შრომის შესახებ აკადემიკოს გაგნიძეს ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა როლი შეასრულა მისი შრომის შექმნაში კლასიკური ფილოსოფიის ისტორიულმა გამოკვლევებმა და ქართულმა ფილოსოფიურმა სკოლამ.

შემეცნების თეორიის იდეალისტურ სისტემებთან კამათში შემეცნების პრობლემატიკის მატერიალისტური გაგების ერთ-ერთი ნიმუშია „შემეცნების საგნის პრობლემა“. კანტის, კანტიანელებისა და განსაკუთრებით ფენომენოლოგიზმის კრიტიკული ანალიზის შუაზე ავტორი ასაბუთებს შემეცნების საგნის არსებობას შემეცნების პროცესამდე. ებრძვის იმათ, ვინც ფიქრობდა, რომ შემეცნების საგანი შემეცნების პროცესში იქმნება.

ფილოსოფიური თეორიის პრობლემატიკის სფეროში მ. გოგიბერიძის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური საკითხების დამუშავება. ამ მხრივ მისი მონოგრაფია „აინშტაინის რელატივობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“ წარმოადგენს იმის ნიმუშს, თუ როგორ უნდა გავარჩიოთ მეცნიერული აღმოჩენები მათი იდეალისტური ინტერპრეტაციისაგან და როგორ უნდა მოხდეს ამ აღმოჩენათა დიალექტიკურ-მატერიალისტური განზოგადება.

ბუნებისმეტყველების და მეცნიერების მიღწევების მ. გოგიბერიძე იყენებდა იდეალიზმისა და რელიგიის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც ნათლად ჩანს შრომაში „მეცნიერება და რელიგია“ (ტ. II).

მ. გოგიბერიძის კვლევის თემატიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მარქსისტული ფილოსოფიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა მისი შრომა „ლენინი როგორც ფილოსოფოსი“. პროფ. მ. გოგიბერიძე ამ შრომაში განიხილავს ვ. ი. ლენინის ფილოსოფიურ ევოლუციას, რომელიც სამ ეტაპად აქვს წარმოდგენილი იმისდა მიხედვით, თუ რა პრობლემები იდგა ლენინის წინაშე ამა თუ იმ ეტაპზე. მ. გოგიბერიძე ასაბუთებს, რომ ლენინი იყო ფილოსოფოსი არა მარტო პრაქტიკული, არამედ თეორიული გაგებითაც. მართალია, აქ მთელი სიღრმით არ არის გადმოცემული ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მ. გოგიბერიძის შრომა პირველი იყო ამ მიმართულებით. მისი სამტომეული ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ ფილოსოფოსის ნააზრევზე და ქართული ფილოსოფიური სკოლის დონეზე.

უნივერსიტეტის გამომცემლობამ კარგი საქმე გააკეთა სამტომეულის გამოცემით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. აუცილებელია მოკლე დრომი გამოქვეყნდეს კ. ბაქრაძის, ს. დანელიას და ს. წერეთლის რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიის ანთოლოგია, მ. ნუცუბიძისა და კ. მეგრელიძის შრომები.

ერის ინტელექტუალური განვითარების ერთ-ერთ საზომს მისი ფილოსოფიური ნააზრევი წარმოადგენს; ჩვენი საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნება თანამედროვე მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების დონეზე დგას, მისი შედეგების სისტემატური სახით მიწოდება ფართო საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

ე. კოდუა,
პროფესორი.

საზაარელი ბოროტმოქმედება

ბეირუთი, 21 მაისი. (საკდესი). პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკების 16 მაისის ბარბაროსული დაბომბვის დროს ისრაელის თვითმფრინავებმა ჩამოყარეს საბავშვო სათამაშოებში ჩაწყობილი ათასობით ნაღმი.

რამდენიმე ათეული ასეთი „სათამაშო“ პალესტინელ ბავშვებს ხელში აუფეთქდათ. საავადმყოფოებში მიჰყავთ დამწვარი, ხელმოგლეჯილი, თვალისჩინდაკარგული ბავშვები. მარტო აინ ალ-ჰილვის ბანაკში ასზე მეტი „სათამაშო“ ნაღმი აღმოაჩინეს და უვნებელყვეს. ბურჯ ალ-ბარაჟნის ბანაკში იპოვეს მოწამლული კამფეტები, რომლებიც ასევე ისრაელის თვითმფრინავებს ჩამოეყარათ.

აქციების კურსი

ეცვმა

კანბერა, 22 მაისი. (საკდესი). ავსტრალიის ბირჟებზე მკვეთრად დაეცა მსხვილი კომპანიების, განსაკუთრებით იმ კომპანიების აქციები, რომლებიც დაკავშირებული არიან უცხოეთის „კაპიტალთან. აქციების საერთო ღირებულება ბირჟებზე უკანასკნელ ორ დღეში 120 მილიონი ამერიკული დოლარით შემცირდა. ასე გამოუხმაურა ბირჟა პარლამენტის არჩევნების შედეგებს, რომელიც გასულ შაბათს მიმდინარეობდა ავსტრალიაში.

თუმცა ამომრჩეველთა ხმების დათვლა ჯერ არ დამთავრებულა, ადგილობრივ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ლეიბორისტულ პარტიას შეუძლია უზრუნველყოს თავისი გამარჯვება. ამ პარტიამ, რომელიც მოითხოვს მონოპოლიების საქმიანობაზე „კონტროლის დაწესებას და უცხოეთის კაპიტალის ოპერაციების შეზღუდვას ავსტრალიაში, უკანასკნელი ოფიციალური მონაცემებით, უკვე მიიღო 63 ადგილი 127 ადგილიდან წარმომადგენლთა პალატაში, ხოლო მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა — ლიბერალური და აგრარული პარტიების კოალიციამ — 57 ადგილი. 7 ადგილის ბედი ჯერ არ გადწყვეტილა, და ჯერჯერობით ლეიბორისტთა ლიდერი გოფ უიტლენი და ლიბერალებისა და აგრარიების ლიდერი ბილი სნედენი ამჯობინებენ არ ილაპარაკონ თავიანთი პარტიების გამარჯვებასა თუ დამარცხებაზე.

გაზეთების აზრით, ლეიბორისტულ პარტიას შეუძლია წარმომადგენელთა პალატაში მიიღოს 2-3 ადგილით მეტი, რაც მას უფლებას მისცემს შეადგინოს მთავრობა. სენატში, როგორც წინასწარი მონაცემებით ჩანს, ლეიბორისტები, ალბათ რამდენადმე გაიუმჯობესებენ მდგომარეობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, იყოლებათ თუ არა უმრავლესობა.

საფრანგეთი

ბორბალი

ბეირუთი, 21 მაისი. (საკდესი). ბეირუთიდან ლტოლვილთა ბანაკებზე 16 მაისის ბარბაროსული დაბომბვის დროს ისრაელის თვითმფრინავებმა ჩამოყარეს სავაჭრო ნაგებობა.

ამბავი

ბოლოს

ბეირუთი, 21 მაისი. (საკდესი). ბეირუთიდან ლტოლვილთა ბანაკებზე 16 მაისის ბარბაროსული დაბომბვის დროს ისრაელის თვითმფრინავებმა ჩამოყარეს ბოლოს.

ერთიერთგაგება, თანამშრომლობა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის გაანცხადება

ბერლინი, 21 მაისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიიდან და სახელმწიფო ხელმძღვანელობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალს კამათის მსვლელობას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰ. შმიდტის მთავრობის განცხადების ზოგიერთი ასპექტის გამო, ნათქვამია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იზიარებს ჰ. შმიდტის თვალსაზრისს, რომელმაც განაცხადა, მიუხედავად ზოგიერთი სიძნელისა ორი ქვეყნის ურთიერთობაში, საჭიროა ხორცი შეეასხათ ხელმოწერილ ხელშეკრულებათა სისტემას და გავაფართოოთ იგი. შეეხო რა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის წარმომადგენლის გ. ვენერის სიტყვას ბუნდესტაგში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მზად არის შეისწავლოს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციის წარმომადგენლის გ. ვენერის წინადადებანი, კერძოდ, გერმანიის

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ჰონეკერის სახელით განაცხადა, რომ ბუნდესტაგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის წარმომადგენლის გამონაქვამები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ ყურადღებით არის მიღებული ცნობად. გ. ვენერის გამოსვლებში ამ საკითხების მიმდინარეობის შესახებ, რომლებსაც იგი 1973 წლის 30 და 31 მაისს აწარმოებდა ე. ჰონეკერთან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის ფრაქციის წარმომადგენლებთან, პრობლემის არსს ეხებიან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ჰონეკერის სახელით განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მზად არის შეისწავლოს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციის წარმომადგენლის გ. ვენერის წინადადებანი, კერძოდ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისა და უზრუნველყოფის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა გადასაცემელი ფულის მინიმალური თანხის საკითხების მიმართ, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოდიან, აგრეთვე ეროგომმარაგების ქსელში დასაკლეთ ბერლინის ჩარიცხვის საკითხები და მთელი რიგი შეთანხმებანი, რომლებიც გამომდინარეობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების ხელშეკრულებიდან.

დასასრულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობა მზად არის დადებითად გამოეხმაუროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰ. შმიდტის, აგრეთვე ბუნდესტაგში ფრაქციების წარმომადგენლების ინიციატივებს.

საკდესის ფოტო.

შრომა და კაპიტალი

ინგლისი

კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა საგაზაფხულო შეტევა გრძელდება. ინგლისიდან მოდის ცნობები ათასობით მშრომელთა შეუწყვეტელი საგაფიცვო მოძრაობის შესახებ. ისინი მედგრად და გადაჭრით იცავენ თავიანთ მოქალაქეობრივ უფლებებს.

სურათზე: ლონდონის სკოლების მასწავლებელთა დემონსტრაცია, რომელიც მოეწყო მასწავლებელთა ეროვნული პროფკავშირის ინიციატივით. მათი მთავარი მოთხოვნაა ხელფასის მომატება.

საკდესის ფოტო.

გამოფენა „თავისუფლება ჩილელ ხალხს!“

საქართველო პრემია ესპანელ-ჟურნალისტს

მოსკოვში დაიხურა სატირული ნახატებისა და პოლიტიკური პლაკატის საკავშირო თემატური გამოფენა „თავისუფლება ჩილელ ხალხს!“.

გამოფენაზე, რომელიც მოაწყეს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა და უფრნალმა „კროკოდილმა“, წარმოდგენილი იყო საბჭოთა, სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, დანიის და სხვა ქვეყნების მხატვართა 50-მდე ნამუშევარი.

გამოფენის ჟიურიმ საუკეთესო ნაწარმოებებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციების პრემიები მიანიჭა ცნობილ მხატვარ-კარიკატურისტებს კუკრინიქსებს, ბ. ეფიმოვს, აგრეთვე ქართველ მხატვარს ნ. მალაზონიას. მას გადაეცა ჟურნალ „კროკოდილის“ ერთადერთი პრემია, დიპლომი და მედალი პოლიტიკური პლაკატისათვის „უსმინეთ ჩილეს“, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე.

აღსანიშნავია, რომ პრემირებულ მხატვართა სურვილით პრემიების თანხა გადარიცხულ იქნა მშვიდობის ფონდში და მოხმარდება ჩილელ ხალხთან სოლიდარობის საქმეს.

გამოფენა „თავისუფლება ჩილელ ხალხს“ მოეწყობა აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში.

* * *

სურათზე: ნ. მალაზონიას პლაკატი „უსმინეთ ჩილეს“.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ქართველი ფილოსოფოსის შრომები

კრებ. მ. გოგიბერიძის რჩეულ ფილოსოფიურ თხზულებათა სამტომეულის გამოცემის გამო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა მოსე ივანისძე გოგიბერიძის რჩეული ფილოსოფიური თხზულებათა სამტომეული (შესავალი წერილი და რედაქცია გუთვნის პროფ. გ. თევზაძეს). ეს არის პირველი, მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების პრწყინვალე პლეადის — პროფესორების შ. ნუცუბიძის, დ. უზნაძის, ს. დანელიას, კ. ბაქრაძის, მ. გოგიბერიძის, კ. მეგრელიძისა და ს. წერეთლის ნააზრევის მასობრივი ტარაჟით გამოცემის საქმეში.

მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნება გამოირჩევა მაღალი აკადემიურობითა და თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალური პრობლემატიკის ორიგინალური გააზრებიდანვე მარქსისტული მსოფლმხედველობის მიმდევარია. შემდეგომში, როდესაც ის ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსებთან იღრმავებს ფილოსოფიურ განათლებას, მტკიცე მარქსისტული პოზიციით უდგება ფილოსოფიის თეორიისა და ისტორიის უახლესი პრობლემატიკის გადაწყვეტას. მისი პირველი შრომა „სალომონ მაიმონის აზროვნების თეორია კანტის ფილოსოფიასა და

გოჩას მეორედ დაგვადგა

ვაძაცობისათვის, მამაცობისა და თავდადებისათვის ონის ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს სამუალო სკოლის მასწავლებელი სერგი მელქოს-ძე ბერუჩვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულია მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.

...ცხრა წლის გოჩა ხახიაშვილს, რომელიც მდინარის ნაპირზე მიდიოდა, ფეხი დაუცდა. და აბობოქრებულ მდინარეში ჩავარდა. ბავშვის ყვირილი მოესმა იქვე მახლობლად მყოფ ს. ბერუჩვს. მას არც კი უფიქრია, ისე გადაეშვა წყალში, დაძლია ძლიერი დინება, მიაღწია გოჩამდე და ნაპირზე გამოიყვანა. აქ მან ბავშვს გაუწია პირველი დახმარება. (საქინფორმი).

დელფინები გათუმში

ბათუმი, 21 მაისი. (საქინფორმის კორ.). აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირში პირველი დელფინარიუმის შენებლობა. დიდალ-მამალი დელფინები, რომლებიც დაიჭირეს ანაპის ნაპირებთან, მოათავსეს დელფინარიუმში. ახალმოსახლენი ზღვაზე 35 საათის მოგზაურობის შემდეგ, თავს კარგად გრძნობენ. როცა ისინი ადაპტაციის პერიოდს გაიცლიან, ივლისის დამლევს ოფიციალურად გაიხსნება ბათუმის დელფინარიუმი.

რაც თვალს არ გამოეპარა

სახლს ანგრევენ...

სასტუმრო „ივერიის“ ყველა სართულიდან ჩანს ეს ხედი. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი კონტრასტია — ინგრევა ძველი, შენდება ახალი. ინტერესით უცქერენ მას „ივერიის“ სტუმრები, სასწრაფოდ სურათებს იღებენ... უნდა მოასწრო, თორემ თანამედროვე ტექნიკის წყალობით ნგრევა ადვილი საქმეა, გუშინ იყო სახლი და დღეს აღარ არის, მის ადგილზე ახალი ალეა მართა.

მაგრამ „ივერიის“ სტუმრები ტყუილად შიშობენ, ინაშვილისა და კვალის ქუჩების კუთხეში მდებარე სახლების ადება და იქაურობის სამშენებლო ნაგებობებად გაწმენდა ერთ და ორ დღეში კი არა, აგერ სამი კვირაა ვერ მოახერხა მთავართბილმშენის № 18 ტრესტის № 2 სამშენებელო-სამონტაჟო სამმართველომ.

შენ აშენება თქვი, თორემ დანგრევა ადვილია, ხშირად გაიგონებთ ამ გამოთქმას და, ცხადია, არც ერთ ჩვენგანს ეჭვი არ ეპარება, რომ ეს ასეა. მაგრამ ნგრევაც ყოველთვის არ არის ადვილი რამ, თუკი საქმე ადამიანის საცხოვრებელი სახლის აღებას ეხება და არა ჩიტის ბუდის მოშლას. ვიდრე დანგრევდე, იმაზე უნდა იზრუნო, თუ მობინადრე სად იცხოვრებს.

ახლა ეს ნახევრად დანგრეული სახლები უპატრონოდ არის მიტოვებული. აქ ორ კვირას იდგა ექსკავატორი, მაგრამ იგი რატომღაც არ გამოიყენეს, სამშენებლო ნაგავი არ გაწმენდეს. ამ ცენტრალურ უბანში, დედაქალაქის უპირველესი სასტუმროს წინ, სადაც ათასობით უცხოელი თუ ჩვენებური სტუმარი ტრიალებს, ამდენი ხნის მანძილზე ნანგრევებია და აზრად არავის მოსდის, რომ მესერით მაინც შემოიღობოს.

რისი ბრალია ეს? გულმავიწყობის? მოუცლელობის? არა! ეს მხოლოდ უპასუხისმგებლობის მიზეზია.

იმავე სასტუმროს წინ, თვით სასტუმროს ტერიტორიაზე შემოღობილი მიწის გორა წლების მანძილზე თითქმის სანაგვედ იქცა. და ეს ხდება მაშინ, როცა „ივერიაში“ ექვსასამდე კაცი მუშაობს, აქედან ასზე მეტი კომუნისტი და კომკავშირელია. ერთი შაბათობა იყო საკირო, რომ ეს მიწაყრილი სწრაფად მზარდი ხვიარა მცენარეებით შეემოსათ და ნაგავისაგან გაეწმინდათ. რა შთაბეჭდილება უნდა დარჩეს აქ ჩამოსულ სტუმრებს? ავაგეთ გრანდიოზული, უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გაწყობილი სასტუმრო, ხოლო ეზო-მიდამო ასეთ საავალალო მდგომარეობაშია!

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკებს ნორმალურად მიაჩნიათ ეს?

რ. ჭელიძე.



აი ასეთი სურათია ინაშვილისა და კვალის ქუჩების კუთხეში.

გ. გიგოსიას ფოტო.

ქადამიანთა გედ-იღგალი

ХАРИСКАЦИС ДЕДА

„პრავდაში“ გაგზავნილი წერილი მოკლე იყო. „ოცდაათ წელიწადზე მეტია შვილის საფლავს დავეძებ. დავეძებ იმ დღიდან, როცა „პრავდაში“ წავიკითხე ცნობა ჩემი ალიოშას დაღუპვის შესახებ. ეს იყო 1941 წლის 5 აგვისტოს მოქმედი არმიიდან მიღებულ წერილში „მიშაკოვი და შალამბერიძე“. დამეხმარეთ მოვნახო ის გორაკი, რომლითაც დაფარულია ჩემი შვილის ნეშტი, ან თუნდაც ის ადგილი, სადაც დაიღუპა ალიოშა და მისი მეგობარი მიშაკოვი. სონია ივანეს ასული შალამბერიძე, 88 წლისა“.

ვის არ ააღელვებს და არ დაფიქრებს ასეთი წერილი? ვფურცლავთ „პრავდის“ 1941 წლის კომპლექტს. აი ის წერილიც. მოკლედ და ამასთანავე სრულად გადმოცემულია ორი ძმადნაფიცი ჯარისკაცის — შალამბერიძისა და მიშაკოვის გმირობის ამბავი.

მტერი მოიწევდა. ასეული ძალულებული იყო უკან დაეხია. საჭირო იყო დაეფარათ უკანდახევა. „ვინ დავტოვოთ?“ — დადგა საკითხი ასეულის მეთაურის ქიტკოვის წინაშე. მასთან მიხოხდნენ მიშაკოვი და შალამბერიძე. ჯერ კიდევ შორიდან ერთერთმა მათგანმა დაუძახა:

— ამხანაგო ლეიტენანტო, ნება გვიბოძეთ დავფაროთ უკანდახევა. ჩვენი მანქანა მოქმედებს, — იღიმებოდნენ ახალგაზრდები და ხელი დაჭიკეს ტყვიამფრქვევის ლულას.

აი ასე მხიარულად და უბრალოდ ეგებებოდნენ ისინი სიკვდილს. ასეული მშვიდობიანად გადავიდა სხვა პოზიციაზე. გერმანელებმა დიდხანს ვერ შეძლეს მიჭარბებოდნენ მადლობს. მაგრამ ძლიერმა ავფთქებამ შეწყვიტა საბჭოთა პატიროტების — მიშაკოვისა და შალამბერიძის სიცოცხლე“ — ასეთი სიტყვებით თავრდებოდა გაზეთის წერილი.

რა ადგილას მოხდა ეს ბრძოლა? ძნელია თქმა, წერილის ავტორმა, „პრავდის“ ყოფილმა სამხედრო კორესპონდენტმა დედას აცნობა, რომ დიდი ხნის გასვლის გამო ზუსტად არ ახსოვს. ალიოშას უკანასკნელი წერილები, ომამდელი, ლატვიდან მოდიოდა.

და აი ჩვენ დიდ ქართულ სოფელ ჭითაწყაროში ვართ. კარგად ნაგებ სახლებს ჩაის პლანტაციების მწვანე ზოლები მონაცვლეობენ. სოფლის საბჭოს შენობასთან სტენდია მრავალი ფოტოსურათით: ახალგაზრდა, ლამაზი სახეები. ესენი არიან, ვინც დიდი სამამული ომიდან არ დაბრუნებულან. აქ ხშირად მოდიან მათი ნათესავები და მახლობლები.

აქ ხშირად არის ხოლმე სონია ივანეს ასული. მისი ქალიშვილი შურაც, რომელიც ძმის დაღუპვის შემდეგაე ითხოვა ფრონტზე გაეგზავნათ და იმობდა 1945 წლამდე.

აი შალამბერიძეების სახლიც. სონია ივანეს ასული გულითადად შეგეხვედა, დაფიცურდა, გვთხოვა დავმსხდარიყავით. წლები ძმიმე ტვირთად დასწოლია გამხდარ მხრებზე, თითქოს მოუხრიათ ისინი, ღრმა ზოლები გაუვლიათ სახეზე, მაგრამ, როგორც ჩანს, კვალი ვერ დაუმჩნევიათ მის ცოცხალ, ჭკვიან თვალებზე. მათში ჩანს მოუთმენელი კითხვა: ახალი ხომ არა იცით რა ალიოშაზე? შვილის სიყვარულ ძებნას მან ხომ მთელი თავისი სიცოცხლე შეალია. მოხუცობაში შეისწავლა რუსული ენა და მიწერ-მოწერა აქვს ყველასთან, ვისაც კი შეუძლია შვილის კვალს მიაგნებინოს.

სონია ივანეს ასული ოთახის კუთხეში მდგომ მაგიდასთან მიდის და აკანკალებული ხელით იღებს იქიდან საქაღალდეს. იქ ყველაფერია მისი შვილის შესახებ: ფოტოსურათები, წერილები. ქართველი პოეტის ხუტა ბერულავას ლექსების პატარა წიგნი. წიგნზე ნაჩუქრობის წარწერაა: „ჯარისკაცის ძვირფას დედას. თქვენი შვილის და მისი მეგობრის უკვდავმა გმირობამ შვა ეს ლექსი და... პოეტი“. საქმე ის არის, რომ ახალგაზრდა ჭაბუკმა ბერულავამ, მიშაკოვისა და შალამბერიძის გმირობის ამბავი რომ წაიკითხა „პრავდაში“, უძღვნა მათ ერთ-ერთი პირველი ლექსი, რომელიც სახალხო სიმღერა გახდა და გაუხსნა ფართო გზა პოეზიაში.

ფურცელი იდო, რომელიც სონია ივანეს ასულისათვის ყველაზე ძვირფასი რელიკვია გახდა, — „ლექსი დედას შვილის ალოშასაგან“, ბარათით: „დედა, ეს კი მელნით გადაწერე და კედელზე დაკიდე“.

ლექსში მოთხრობილია, თუ ჭაბუკი, ათწლედს რომ ამთავრებდა, როგორ ოცნებობდა ინსტიტუტზე. მაგრამ მსოფლიოში შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ შეიცვალა მისი გეგმები და იგი ხებაყოფლობით მიდის არმიაში, რომ „მტერს მტრულად მოეკეთა“. შემდეგ აცნობებს, უკვე დაგდე ერთი ფიცი, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლეს საშშობლოს დასაცავად. „ახლა კი, დედა, გაძლევ მეორე ფიცს — ყოველთვის ისეთი ვიქნები, როგორიც შენ გინდოდა გენახე, — გულადი, მამაცი, ძლიერი. ისეთი მაქვს, დედა, შენგან აღზრდილი გული. გამარჯვებული დაგიბრუნდები. თავს გიფფრთხილდი, ძვირფასო“.

წინათ შვილს არასდეს ლექსები არ დაუწერია, ახლა კი ასეთი გულითადი მიძღვნა, ფიცი დედის წიგნში.

მას შემდეგ სონია ივანეს ასულისათვის დაიწყო მოლოდინითა და წუხილით აღსავე ცხოვრება. ხან ერთი ხან მეორე მეზობლის სახლში მწუხარება ისადგურებდა, სამწუხარო ამბები მოდიოდა. არც სონიას ასცდა უბედურება. გაზეთის ცნობამ მაშინ მთელი სოფელი ააფორიაქა. ადამიანები თავდახრილნი მიდიოდნენ ჯარისკაცის დედასთან.

მეზობლები რომ დაინახა, სონია ივანეს ასული ალოოთი მიხვდა ცუდ ამბავს. ალიოშას საბაკლო ტანსაცმელი, რვეულები, წერილები, ფოტოსურათები გაპარა და მოთქმა დაიწყო. ფოტოსურათიდან მას უცქეროდნენ ორნი — ალიოშა და ის, მისთვის უცნობი რუსი ახალგაზრდა, მიშაკოვი, რომელთან ერთადაც მისმა შვილმა გადადგა თავისი უკანასკნელი ნაბიჯი ცხოვრებაში.

თურმე, ჯერ კიდევ ომამდე, ალიოშას შინ გამოუგზავნია ფოტოსურათი: ახალგაზრდა, ოლტაცებული სახეები — ქართველი და რუსი. უკანა მხარეზე კი წაუწერია: „დედა, ეს ჩემი საუკეთესო მეგობარია, მიხეილ მიშაკოვი“

— ნეტა გიცოდე, სად არის მიშაკოვის დედა. ცოცხალია თუ არა? ერთმანეთს მწუხარებას შეეუმსუბუქებდით, — მძიმე ამოოხვრით ამბობს სონია ივანეს ასული და ცრემლს იწმენდს.

— ჩემი მთავარი ნუგეში შრომაა. მასში ვპოვებ თავდავიწყებასა და სიხარულს.

მის გამოხედვაში სიმაყეს გაიელვა. თავი მიაბრუნა ვიმპელისაკენ, რომელიც კედელზე ეკიდა ლენინს — ალიოშას ფიცის გვერდით.

— როგორც ჩაის ერთ-ერთი საუკეთესო მკრეფავი შარშან კოლმეურნეობის გამგეობამ სონია ივანეს ასული ვიმპელითა და საათით დაჯილდოვა, — თქვა თავმჯდომარემ მ. ბოკუჩავამ. — ხუმრობა ხომ არ არის — ოთხი ტონა მწვანე ფოთოლი მოკრიფა!

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ისმის, როგორ წიკწიკებს საათი და ითვლის დროს, რომელშაც შვილს დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ვერ შეეხელა, სონია ივანეს ასული აქამდე ელის შვილის ამბავს.

სად არ მისწერა ამ წლების მანძილზე. ათობით პასუხი მოუვიდა თავდაცვის სამინისტროს არქივებიდან, ბევრი სამხედრო კომისარიატიდან, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებიდან. 1973 წელს მოვიდა ცნობა: რიგითი შალამბერიძე ირიცხება ამათ შორის, ვინც უკვალოდ დაიკარგა 1941 წლის ივლისში. მანამდე კი უპასუხეს, რომ იგი დაღუპულთა და ბრალმებებისაგან გარდაცვლილთა სიებში არ არის.

— როგორ თუ „უკვალოდ დაიკარგა“? — გაჯავრებით ამბობს სონია ივანეს ასული — „პრავდაში“ ხომ ეწერა, როგორ დაიღუპა ალიოშა.

— იქნებ ვინმე თანამოკეალია ცოცხალი? — დაიწყო დ. ჯანტურიამ, პარტიის რაიკომის მდივანმა. — იქნებ ლეიტენანტმა ვიტკოვმაც, რომელმაც გააცილა ბიჭები საგმირო საქმეზე, ვაიხსენოს ის საშინელი ბრძოლა და გამოგვეხმაუროს.

დიდხანს დავჯდით იმ დღეს სონია ივანეს ასულის სახლში. ფანჯრებს იქით ელვარე გაზაფხული იდგა და ირგვლივ გადაშლილი პლანტაციებიდან ნიავმა სახადმოვნო მელოდია მოიტანა.

— ეს ჩემს ბიჭებზეა, — თვალებგაბრწყინებული მსუბუქად წამოდგა სონია ივანეს ასული და ფანჯარასთან მივიდა.

დიახ, დიახ, უდასტურებენ დამსწრენი. ეს სიმღერა მიშაკოვისა და შალამბერიძის შესახებ ხუტა ბერულავას ლექსის სიტყვებზეა.

ყველამ ყური მიუგდო. აქვე სახლში იყვნენ სოფლსაბჭოს თავმჯდომარე კ. ქვარაიაც, კოლმეურნეობის თავმჯდომარეც, რაიკომის მდივანიც, შალამბერიძის მოელი ოჯახიც.

— ჩვენ კოლმეურნეობაში, — თქვა თავმჯდომარემ, — სონია ივანეს ასულს დავუწესეთ უფრო მეტი პენსია, ვიდრე ის, რომელსაც იგი თავისი ჯარისკაცი შვილისათვის იღებს. მაგრამ უარს ამბობს მის მიღებაზე.

— გამიგეთ, ძვირფასებო—აღელვებული ამბობს სონია ივანეს ასული. ყოველ თვეს, იმ ჯარისკაცულ მანეთებს რომ ვიღებ, ეელაპარაკები ღვიძლ შვილს. განა შეიძლება ასეთი რამ ფულით გაიზომოს!

აი ასეთია იგი, სონია ივანეს ასული შალამბერიძე, ჯარისკაცის დედა.

ე. შაცკაია,
გ. ლებანიძე,
„პრავდის“ სპეც. კორ.
სოფ. ჭითაწყარი,
ზუგდიდის რაიონი.

სურათზე: ა. შალამბერიძე (ზეპირთ) და მ. მიშაკოვი.
„პრავდა“, 21 მაისი.

„საქართველოს აგიტატორი“ № 10

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეათე ნომერი.

ჟურნალის ახალ ნომერში დაბეჭდილია სტატიები და წერილები: **რ. კობახიძე** — ეკონომიკაში, ადამიანთა ფსიქიკაშიც.; **სარედაქციო წერილი** — სოფლად იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მაღალი დონისათვის; **ნ. ნანაძე** — არის ასეთი სოფელიც; **ა. ბუბნოვი** — „რა ჰქვია ჩემს ცოლს?“; **დ. მახარაძე** — აგიტატორები არჩევნებისათვის მზადების დღეებში; **ვ. ქრისტესიაშვილი** — ამ ყოველი დონისძიებით ზრუნავენ მეცხოველეობის განვითარებისათვის; **გ. გამცემლიძე** — მომხმარებელთა საკეთილდღეოდ; **გ. გვენეტაძე** — ძეგლი აიგო ხელოვნებამ, უნეტარესი...“ **ა. მითაიშვილი** — ცაში დაფერფლილი ვარსკვლავი; **რ. ბერიძე** — ჭეთაისელ მეკონსერვეთა აგიტბრიგადა; **შ. გულუა** — მშენებელი; **შ. სვანი** — ტურიზმი: გუშინ, დღეს, ხვალ; **ა. ფუტკარაძე** — მშრომელებს — სამხედრო-პატრიოტული აღზრდა; **თ. ლეკვენაძე** — პროფესიული ორიენტაცია — ყურადღების ცენტრში და სხვა საინტერესო მასალები.





შეხვედრა სოხუმის ნავსადგურში.

მ. ტარასოვის ფოტო.

პოეტის წიგნის თარო

მუხრან მაჭავარიანის ახალი კრებულები

საქართველოში უყვართ ჭეშმარიტი ნიჭიერებით აღბეჭდილი პოეტური სიტყვა. ამიტომაც არის, რომ აგრერიგად მადლმოსილი პოეტის ლექსთა კრებული ფეიათად თუ გაჩერდება წიგნის მაღაზიის თაროებზე, მუხრან მაჭავარიანი ქართული პოეტური სიტყვის სწორედ ის ოსტატია, რომლის ყოველი ახალი წიგნი ხალხის სიყვარულისა და ინტერესის საგანი ხდება.

ახლახან „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა მუხრან მაჭავარიანის კრებული „ლექსები“, რომელშიც სხვადასხვა წლების ლექსებთან ერთად დაიბეჭდა ახალი ლირიკული ნაწარმოებები (რედაქტორი ვ. ჯაფახაძე, მხატვარი ო. ჭიშკარიანი).

„ნაკადულმა“ გამოსცა პოეტის ლექსების კრებული სათაურით **„ვინც იყო, იგი რომ არა“** (რედაქტორი მ. არაბული, მხატვარი შ. დოლაძე), რომლის ავტორისეულ წინათქმაში ნათქვამია: „ამ წიგნს ვუძღვნი ჩემი დიდებული ქვეყნის მოსწავლე-ახალგაზრდობას, დღევანდელი დღით რომ ხარობს და იმედის თვალით უმზერს მომავალს“.

მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ“ გამოუშვა პოეტის ახალი კრებული **„სიჩუმე უშენოდ“** (რედაქტორი ე. ჯალიაშვილი. მხატვრული გაფორმება ლ. რაბინაუსი). შესაფალი წერილს „პუხრან მაჭავარიანის პოეზიის შესახებ“ ავტორია ცნობილი რუსი პოეტი ევგენი ვინოკუროვი. ლექსები თარგმნილია ე. ევტუშენკოსა და ა. გლეზერის მიერ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დაბეჭდა პოეტის მიერ ბულგარული ენიდან თარგმნილი **„თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია“** (რედაქტორი ბ. ხარნაული, მხატვარი ჯ. ლოლუა). ანთოლოგიაში შეტანილია 44 თანამედროვე ბულგარელი პოეტი.

პრეტენდენტთა მატჩი

პარტია გადაიდო

რიგა. გუშინ აქ გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ნ. ალექსანდრიასა და მ. შელის ნახევარფინალური მატჩის მეხუთე პარტია. მე-40 სვლის შემდეგ იგი გადაიდო ალექსანდრიას პოზიციური უპირატესობით. პარტიის დამთავრება გაიმართება დღეს.

გთავაზობთ IV პარტიას:
შელი — ალექსანდრია
ახალინდური დაცვა

1. d4 ∂f6 2. c4 e6 3. ∂f3 b6 4. e3 ¿b7 5. ¿d3 c5 6. 0—0 d6 7. ∂c3 ∂bd7 8. ₾e2 ₾e7 9. e4 cd 10. ∂:d4 0—0 11. f4 ₾e8 12. ∂f3 ₾c7 13. b3 ₾ad8 14. ¿b2 a6 15. ₾ae1 ∂c5 16. ¿b1 d5 17. e5 ∂fe4 18. ₾c2 d4 19. ∂:e4 ¿:e4 20. ₾d1 ¿:b1 21. ₾:b1 d3 22. ∂d2 b5 23. ∂gh1 bc 24. ∂:c4 ₾d5 25. ₾d1 ∂a4 26. ¿a1 ∂b6 27. e3 ₾d7 28. ₾h5 ¿c5 29. ∂g4 ∂d5 30. ₾f3 d2 31. ₾d1 g6 32. ₾h4 ₾e7 33. ₾f2 b5 34. + ∂:f6 35. ef ₾b4 36. ₾e2 ₾d5 37. f5 gf 38. ₾g3+ ₾:g3 39. hg ₾c8 40. ₾:h5 ₾c2 41. ₾g5+ ∂gf8 42. ₾g7+ ∂ge8. პარტია გადაიდო.

43-ე სვლა შელმა ჩაიწერა. ეს პარტია ასე დამთავრდა.

43. ₾g8+ (ჩაწერილი სვლა) ¿f8 44. ₾g5+ f4 45. ₾:f4 ₾h5+ 46. ∂gg1 ¿c5+ 47. ¿d4 e5 48. ₾g4 ¿:d4+ 49. ∂gf1 ₾h2 50. ₾g8+ ∂gd7 51. ₾:f7+ ∂gc6 52. ₾e6+ ∂gc7 53. f7 ₾c1 54. f8₾ ₾h1+ 55. ∂ge2 ₾e1+ 56. ∂gd3. ალექსანდრია დანებდა.

გუშინ „ლოკომოტივზე“...

გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

მასპინძლებმა მონდომებით ჩაატარეს შეხვედრა და გიმარჯვეს ანგარაშით 4:2 (3:2). დინამოელებმაან ორი ბურთი გაიტანა გავაშვალმა, თითო — ლ. ნოდიამ და ქანთარიამ; ერევნელებმაან — ტატევოსიანმა და პეტროსიანმა.

ფილბ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგება ამავე გუნდების ძირითადი შემადგენლობათა ასპარეზობა. საკავშირო ჩემპიონატში „დინამო“ და „არარატი“ 26-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 11 მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა, 8 — ერევნელებმა. ბურთების სხვაობა მინიმალურია — 37-36 დინამოელთა სასარგებლოდ.

ქართველ სლალომისტთა წარმატება

მეუნსმენს ოლიმპიადის მონაწილე, თბილისელი გიორგი ნასყიდაშვილი სსრ კავშირის თასის გათამაშების ირთავდერთი მონაწილე იყო, რომელმაც არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიიღო წყლის სლალომის რთულ ტრასაზე და პირველობა მოიპოვა ბაიდარა-ერთეულით. 117 სპორტსმენი გამოვიდა ამ შეჯიბრებაზე, რომლის სტარტი მიეცა ქალაქ პერვომაისკის მახლობლად. კანოე—ერთეულების შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა მცხეთელი ტარიელ გაბრიელიანი („ბრომითი რეზერვები“, ხოლო კანოე — წყვილთა ასპარეზობაში მესამე შედეგი აჩვენეს თბილისელებმა, ძმებმა ბორის და იური კაშურნიკოვებმა („ლოკომოტივი“).

გოლო ტურში

შეჯიბრების ლიდერმა ციურ კობაიძემ, რომელსაც უკვე განაღდებული ჰქონდა პირველობა, ყაბი გააკეთა მამისთვალოვასთან. ასევე ყაბიზე შეთანხმდნენ კუბარაშვილი-ხუბულური, ჩიაკოფსკაია-ვაჩეიშვილი, ალბერტ-სოვაგაჩიჩილაძე, თინდაშვილი-გურიელი. წერეთელმა მოუგო მანველოვას, ბაშინურიძემ —ითსელიანს, გეგიძემ — ბელოზიორიოვას, ხუგაშვილმა — კახაბრიშვილს.

ამრიგად, საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა **ც. კობაიძემ** 15 ქულით დაამთავრა ტურნირი. მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ **ჩიაკოფსკაია** და **ხუგაშვილი** — 13,5 ქულა თვითეულს. მეოთხე-მეხუთეზე — **წერეთელი** და **ბაშინურიძე** — 13-13 ქულა, მეექვსეზე — **კახაბრიშვილი** — 12,5 ქულა. 12 წლის თბილისელი მოსწავლე **ნანა იოსელიანი** 10,5 ქულით მერვე ადგილზე გამოვიდა.

ინდაურები კონვეიერზე

დონეცკი. (საკდესის კორ.). აზოვისპირა ველში, რომელიც წინათ გათქმული იყო ინდაურებით, კვლავ აღორძინებენ მეფრინველეობის ამ დარგს. დამთავრდა ვოლოდარსკის ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც წელიწადში მეოთხედ მილიონ ინდაურს აწარმოებს.

საფრინველე კომბინატის ცხრამტკორპუსში ყველა საწარმოო პროცესი მექანიზებულია. აქ პირველად დაიწყეს ინდაურის ჭუკების გაზრდა ანლებურად — სპეციალური კონსტრუქციის ერთიარუსიან გალიებში, რომლებიც აღჭურვილია ავტომატური საკვებურებითა და ნიმელიანი სარწყულებლებით. ამის მეოხებით ერთი მეფრინველე ადვილად მოუვლის თერმეტი ათას ფრთა მოზარდეულს.

წელს ახალგაზრდა საწარმო შეშახტეთა მხარის მაღაზიებს გადასცემს ცამეტი ათას ცენტნერზე მეტ დიეტურ ხორცს. უახლოეს ხანებში ინდაურის წარმოება ფაბრიკაში გაორკეცდება და წელიწადში ნახევარ მილიონ ფრთას მიიღწევს.



ტელევიზია

23 მაისი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დღის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. ა. ჩეხოვი „თოლია“ გორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სპექტაკლი, 17.05 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები ქიმიაში, 17.50 — სსრ კავშირის ისტორიაში, 18.35 — განცხადებები, 18.45 — „პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე“, 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი), 20.45 — „ხალხი და მისი რჩეული“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სასამართლო დარბაზიდან, 21.50 — ჩვენი სტუმრები, 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — „მუსიკა და კინო“, 23.25 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (VI კლასელთათვის, როგორ მოვემზადოთ გამოცდებისათვის), 18.50 — ქართული ლიტერატურა (X კლასელთათვის. ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიმოხილვა), 19.15 — კინოპროგრამა, 19.55 — განცხადებები, 20.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები მანქანებისა და მექანიზმების თეორიაში, 21.00 — პოლიტკონომიაში.

რადიო

24 მაისი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მეერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „რუსთავი“, 11.05 — დ. კაბალევსკი. ნაწყვეტები ოპერიდან „კოლა ბრუნიონი“, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — საუბარი „ჯანსაღი კრიტიკა გვეხმარება ნაკლოვანებათა დაძლევაში“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მღერის ე. კაკულია, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ე. მეძელაიტისის ლექსები, 12.30 — ე. რამო. საკლავეესინო პიესები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ნ. დრემლიუგა. სიმფონიური სურათი „პორონინოში“, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზით „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება. უკრავს თ. ახობაძე. 17.40 — მოსწავლეთათვის. საუბარი „გამჭრალი ტყე“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.05 — ზ. ფალიაშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „ლატავრა“, 18.45 — ბ. აედონიცკი. სიმღერები, 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა“, 19.15 — მ. დავითაშვილი. კამერული ნაწარმოებები, 19.30— უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20 30 — რადიოჟურნალი „თქვენთვის, ცნობისმოყვარეებო!“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — რუსული კამერული მუსიკის კონცერტი, 22.00 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — თ. მირზაშვილი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ო. თაქედორაძე. „ქართული სუიტა“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

23 მაისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ივანე მრიხანეს სიკვდილი** (პრემიერა); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **თვალი პატიოსანი**; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მხიარული მელოდიები.**

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93 28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები